საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკალრისიბაგზე ეხაძაგლესია.

ოთხშაბათი, 24 მაისი. 2023 წ. №58 (9590) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ნუგზარ რუხაძე:

ამერიკის ფინანსური კრიზისის გამო, მთელი მსოფლიო გაოგნებულია!

იხ. 8 გვ.

ჩინეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს სამხედრო და ეკონომიკურ ალიანსს სთავაზობს

იხ. 5 გვ.

23 მაისი აფხაზეთის დღეა!



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში 23 მაისს აფხაზეთობას აღვნიშნავთ. ყველას, პირველ რიგში კი, ჩვენს აფხაზ თანამემამულეებს ვულოცავ დღევანდელ დღეს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, **„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა აფხაზ ძმებს ახალი მიდგომა – შერიგებისა და ნდობის აღდგენის პოლიტიკა შესთავაზა. პრემიერი საქართველოს მშვიდობასა და განვითარებას უსურვებს.**

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა ჩვენს აფხაზ ძმებს ახალი მიდგომა – შერიგებისა და ნდობის აღდგენის პოლიტიკა შესთავაზა, რადგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ჩვენი ხელისუფლების ერთერთი უმთავრესი მიზანია ერთმანეთის ნდობა დავიმსახუროთ და ჩვენი ძმები, ჩვენი აფხაზი ხალხი დავიბრუნოთ.

ჩვენ ერთი ისტორია და კულტურა გვაქვს, ერთია ჩვენი ღირებულებები და ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისადმი სწრაფვის სურვილი. სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ ურთიერთპატივისცემისა და ნდობის აღდგენა და მეგობრობა ძლიერ, გაერთიანებულ, განვითარებულ და ევროპულ ქვეყნად გვაქცევს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას აფხაზეთის დღეს. მშვიდობასა და განვითარებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს – საქართველოს,“ – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

ახალი ტაძარი ძმათამკვლელი ომების მსხვერპლთა სულების საოხად

იხ. 2 გვ.

წაიკითხეთ და აღივსეთ რწმენით...

ჯონ სტეინბეკი:

საოცარი ქართველები ყველაფრით გვჯობნიდნენ!

ახლახან მატონმა გიორგი ლასხიშვილმა და ქალბატონმა მანანა ქაჯაიამ საქართველოსა და ქართველებზე დიდი ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ სტეინბეკის სიტყვები შეახსენეს ჩვენს საზოგადოებას.

სტეინბეკმა საბჭოთა კავშირში 1947 წელს იმოგზაურა:

„ყველგან, სადაც მოვხვდებოდით – რუსეთში, მოსკოვში, უკრაინაში, სტალინგრადში, გამუდმებით გვესმოდა მაგიური სიტყვა – „საქართველო“...

კავკასიის ამ ქვეყანას, რომელიც შავი ზღვის პირას მდებარეობს, ისინი ისე მოიხსენიებენ, როგორც მეორე სამოთხეს. უკვე ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ რუსების უმრავლესობა იმედოვნებს, თუკი პატიოსნად და ზნეობრივად იცხოვრებს, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში კი არ ამოყოფს თავს, არამედ საქართველოში...“

საქართველოს საკუთარი თვალით ხილვის შემდეგ კი, **ჯონ სტეინბეკმა** დაწერა:

„საკვირველი ხალხია ეს ქართველები! საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მათ წახდენას, ყველას მათი გატეხა სურდა, მაგრამ მათ ძლიერ სულისკვეთებას კვალიც ვერ დაამჩნიეს.

საქართველოში ყოფნისას ვნახეთ, რომ ეს საოცარი ქართველები ყველაფრით გვჯობნიდნენ: ჭამაც ჩვენზე მეტი შეუძლიათ, სმაც, ცეკვაც, სიმღერაც...

ისინი იტალიელებივით მხიარულები და ბურგუნდიელებივით ძლიერები იყვნენ. ყველაფერი გამოსდიოდათ, რასაც ხელს მოჰკიდებდნენ... მათ სულს ვერაფერი დასცემს, ამ ხალხის თვითმყოფადობას ვერაფერი გაანადგურებს!“

გიგი ხერგიანის უკვდავება

...ცისკენ მიმავალი კიბე...

იხ. 7 გვ.

მიდი, მიდი ჩემო მგზავრო,
არაფრის არ შეგეშინდეს
და ერთხელაც გამოჩნდება,
ცისკენ მიმავალი კიბე.

აქ მთავრდება მიწიერი,
ტანჯვისა და გვემის გზები,
ანგელოსნი ფრთებს გიძღვნიან,
მათთან ერთად გაფრინდები.

გაუძელი, გაუძელი,
არაფრის არ შეგეშინდეს...
და სცაა, გამოჩნდება
ცისკენ მიმავალი კიბე.

2011 წელი

ახალი ტაძარი ძმათა-მკვლელი ომების მსხვერპლთა სულების საოხად

2023 წელი

1991-1993 და 2008 წ.წ. ომებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გარდაცვლილ ქართველთა, აფხაზთა და ოსთა სულების საოხად ტაძარი აშენდება, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილშია აღნიშნული.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, 2011 წელს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში იკურთხა ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო ტაძარი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ომში მოწყვეტილ ქართველთა, აფხაზთა და ოსთა სულების საოხად და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს მშენებლობა შეფერხდა.

„დღეს, მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღეს, „აფხაზეთობას“, ხდება ამ ტაძრის საფუძვლის განახლება. ეკლესია ბაზილიკის ტიპისა იქნება ხუთი საკურთხევლით: წმ. სვიმონ კანანელის, წმ. ვასილისკოს, წმ. იოანე ოქროპირის, ქსნის ერისთავთა – შალვას, ელიზბარის და ბიძინა ჩოლოყაშვილის, ასევე, გაერთიანებული საქართველოს დიდებული მეფის – წმ.თამარის სახელობისა.

მათი მეოხებით ღმერთმა სავანესა თვისსა განუსვენოს ძმათა მკვლელი ომის მსხვერპლთ, ხოლო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიჰმადლოს მშვიდობა; ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს მრავალჭირგამოვლილი, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ჩვენი მოსახლეობა და ყოველი ადამიანი, ვინც ამ ტაძრის მშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას. ღმერთმა დალოცოს აფხაზები, ოსები და სრულიად საქართველო“, – ნათქვამია კათოლიკოს-პატრიარქის წერილში.



საქართველოს ეროვნული გმირის გენო ადამიას უკვდავება

გმირთა მოედანზე საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ გენო ადამიას ბიუსტი დაიდგა. ღონისძიებას დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო.

კალაძემ ყვავილებით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგო მათ ხსოვნას.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია გმირების შესახებ. გენო ადამია იყო ღირსეული კაცი, გენერალ-მაიორი, რომელიც სოხუმის დაცემის შემდეგაც აგრძელებდა ბრძოლას 23-ე ბრიგადასთან ერთად. ის გმირულად დაეცა ამ ბრძოლაში. კიდევ ერთხელ, ქედს ვიხრი გმირების წინაშე. ჩვენს შვილებს კარგად უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ქვეყნის სიყვარული. როგორი ადამიანები იყვნენ ისინი და როგორ იცავდნენ სამშობლოს ღირსებას“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გენო ადამიამ 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგაც უარი თქვა დანებებაზე და განაგრძო აფხაზი სეპარატისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ის 28 სექტემბერს გმირულად დაეცა კელასურის ხიდზე.

რუსთაველის გამზირი ქართული დროშებით გაფორმდა...

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება. საზეიმო ღონისძიებები თბილისში თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე გაიმართება.

წელს პირველად საზეიმოდ ფიცი თავისუფლების მოედანსა და 10 რეგიონში დაიდება. რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა თემატიკის სივრცე მოეწყობა. საქართველოს მასშტაბით საზეიმო ღონისძიებები 15 ქალაქში გაიმართება. თბილისსა და რეგიონებში მოქალაქეებს ღონისძიებაზე დასწრება დილიდან შეეძლებათ. 26 მაისის ღონისძიებებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი დაასრულებს.

ირაკლი ღარიბაშვილი კატარის პრემიერ-მინისტრს და სახელმწიფოს ემირს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დოჰაში ორმხრივ შეხვედრებს მართავს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური კატარის პრემიერ-მინისტრს, შეიხ მოჰამედ ბინ აბდულრაჰმან ბინ ჯასიმ ალ-თანის შეხვდა.

მათივე ცნობით, მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო გეგმები. ხაზი გაესვა ეკონომიკური და ვაჭრობის მიმართულებით ურთიერთობის გაღრმავებისა და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის დიდი პოტენციალის სრულად გამოყენების მნიშვნელობას. აღინიშნა ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალი დონე და ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკა.

* * *

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, კატარის სახელმწიფოსთან ორმხრივი პარტნიორობის გაძლიერება უდიდესი მნიშვნელობის არის საქართველოსთვის.

„ნაყოფიერი საუბარი მქონდა კატარის სახელმწიფოს ემირთან, შეიხ თამიმ ბინ ჰამად ალ-თანისთან. შეხვედრაზე განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები და საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები. კატარის სახელმწიფოსთან ორმხრივი პარტნიორობის გაძლიერება უდიდესი მნიშვნელობის არის საქართველოსთვის ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის ახალი სამიზნე ორიენტირების მიღწევის კონტექსტში“, – აღნიშნავს პრემიერი.

შალვა პაპუაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ სინამდვილეში სააკაშვილის პარტიაა...

„ჩვეულებრივი ტაქტიკაა „ნაციონალური მოძრაობის“, ე.წ. გაშლის ტაქტიკა, როდესაც ისინი თითქოს გადიან, ემიჯნებიან, იყოფიან, სინამდვილეში არიან ერთი ორგანიზმის ნაწილი. ასეთივე „ნაციონალური მოძრაობა“ არის დღეს არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“, „ნაციონალური მოძრაობა“ არის ასევე „სტრატეგია აღმაშენებელი“, არის ასევე „გირჩი“, არის „დროა“, ყველა ეს ადამიანი და ჯგუფები გახლავთ ე.წ. ყოფილი ლიდერები „ნაციონალური მოძრაობის“ და ყოფილები „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ არსებობენ. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ ლიდერებს რაც შეეხება, ისინი არიან უბრალოდ გაშლილი, როგორც ჩანს, ესეც ერთ-ერთი ტაქტიკური ნაწილია, რომ გაიყონ და დააბნიონ საზოგადოება, თითქოს ხდება გადახალისება. სინამდვილეში ეს არის ერთი პარტია, მიხეილ სააკაშვილის პარტია... – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

რამ შეგაშფოთათ, მეთიუ მილერ?!

„ბევრმა დასავლურმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა აუკრძალა რუსულ თვითმფრინავებს საჰაერო სივრცეში შესვლა. ჩვენ შეშფოთებული ვართ რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენების აღდგენით. ეს შეიძლება, ნიშნავდეს, რომ საქართველოს აეროპორტებში კომპანიები, შესაძლოა, სანქციების რისკის წინაშე აღმოჩნდნენ. ჩვენ, მთელმა დასავლურმა საზოგადოებამ ამ რეჟიმისგან დისტანცირება მოვახდინეთ და ახლა არ არის რუსეთთან ურთიერთობის გაზრდის დრო“, – განაცხადა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა მეთიუ მილერმა.

პირდაპირი ფრენების აღდგენა არც ერთ სანქციას არ არღვევს, ძვირფასო მეთიუ! თქვენ ეს უნდა იცოდეთ!

ბათუმსა და ნოვოროსიისკს შორის საზღვაო გადაზიდვები მხოლოდ კომერციული ხასიათისაა!

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უარყოფს ინფორმაციას ბათუმსა და რუსეთის ქალაქ ნოვოროსიისკს შორის რეგულარული საზღვაო გადაზიდვების დაწყების შესახებ.

„სომხეთის ცალკეული მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია მიმდინარე წლის აპრილიდან ბათუმსა და რუსეთის ქალაქ ნოვოროსიისკს შორის რეგულარული საზღვაო გადაზიდვების დაწყების შესახებ ინტერპრეტირებულია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

კონკრეტული გადაზიდვების შესახებ ცნობას რაც შეეხება, აპრილში პალაუს დროშის ქვეშ მცურავმა გემმა, Haci Musa Ucak-მა (IMO9128544) ნამდვილად შეასრულა ორი კომერციული რეისი ნოვოროსიისკსა და ბათუმს შორის. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს არ არის რეგულარული რეისი და სრულად არის კომერციული ხასიათის, რომელიც სისტემატიურად ხორციელდება. აღნიშნული გემის მფლობელი კომპანია, რომელიც არ იძებნება სანქცირებულთა სიაში, კვლავ გეგმავს კომერციული რეისების შესრულებას.

რაც შეეხება ტვირთს, ის სრულად ტრანზიტულია და განკუთვნილია სომხეთის რესპუბლიკისთვის. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან კოორდინაციით, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს როგორც გემების, ასევე გემთმფლობელების შემოწმებას საერთაშორისო სანქციებთან მიმართებით. შესაბამისად, თუკი გემი ან გემის მფლობელი არის სანქციების სიაში, მას არ ეძლევა საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელების უფლება...

თამაზ გაიაშვილი: სალომე ზურაბიშვილი პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადეთ!

ქორწილი ვერ შედგა, სასტუმრო „ყვარლის ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული 17-ვე პირი თავისუფალია. სასტუმრო „ყვარლის ტბასთან“ შეკრებილები სასტუმროში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ოჯახის წევრების ყოფნას აპროტესტებდნენ და სასტუმროს მენეჯმენტისგან მოითხოვდნენ რუსეთის მოქალაქეებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ტერიტორია.

სასტუმროს პარალელურად, მოვლენების ეპიცენტრი იყო რუსთაველის გამზირი, სადაც ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და პირობების შესასრულებლად 1 საათი მისცა. კერძოდ, 1 საათში უნდა ეთქვა უარი ხელისუფლებას რუსეთთან პირდაპირ ფრენებზე, თუმცა ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ოპოზიციის მიერ დათქმული ულტიმატუმის გასვლის შემდეგ, უბრალოდ, დაიშალნენ. ასე დასრულდა ოპოზიციის რეპეტიცია სახელწოდებით – „სახელმწიფო გადატრიალება“.

თბილისში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა საქართველოს პრეზიდენტმა, **სალომე ზურაბიშვილმა** და აღნიშნა, რომ „ჯორჯიან ეარვეისს“ ბოიკოტს უცხადებს და აქვე მოქალაქეებსაც მოუწოდებს, გაიზიარონ მისი პოზიცია. როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა „აირზენა“ არის კომპანია, რომელიც სულ სარგებლობს სახელმწიფოთი, რომ გამდიდრდეს. გარდა ამისა, პრეზიდენტი ხელისუფლებას მოუწოდებს, პარტნიორი ქვეყნების სიებით იხელმძღვანელონ საზღვარზე, რომ არ შემოვიდნენ სანქცირებული პირები.

„ხელისუფლებას, მთავრობას თავისი ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს, პირველ რიგში, საზღვარი იყოს დაცული. რას ნიშნავს, არ ვიცოდით ვინ შემოვიდა, რას ნიშნავს, რომ სანქცირებული და თან როგორი სანქცირებული, ყველაზე მაღალი თანამდებობის პირის შვილი, იმ წრიდან, რომელიც უშუალოდ პუტინის წრეა, ჩამოდის ქვეყანაში და არ ვიცით? გუშინ არ იცოდნენ თურმე, რომ სააკაშვილი შემოსული იყო, დღეს არ იციან, რომ შემოდიან რუსები როგორც უნდათ და სანქცირებული რუსები.

ხელისუფლებას მოვუწოდებ, საჩქაროდ შემოიტანონ (ძალიან კარგად ვიცი, როგორ მუშაობს ეს სანქციები), ის სიები, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, თუ რომელი პირები არიან სანქცირებული და ამ სიებით ვიხელმძღვანელოთ საზღვარზე, რომ არავინ შემოვიდეს, რომელიც სანქცირებულია. ეს მინიმუმი დაცვაა ამ ქვეყნის, რომელიც ისედაც თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი საფრთხის ქვეშაა და საჭიროა, უფრო მეტად დაცული იყოს, ვიდრე ის ევროპული ქვეყნები, რომლებიც ბევრად შორს არიან და ბევრად დაცული. ეს ევალება ხელისუფლებას“, – განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

საქართველოს პრეზიდენტი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორმა **თამაზ გაიაშვილმა** და აღნიშნა, რომ ვიდრე ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშს არ მოიხდის, ბორტზე დაშვებული არ იქნება.

„ყველამ იცის, რომ ნებისმიერ ქართველს უფრო მეტი აქვს საქართველოსთვის გაკეთებული, ვიდრე ქალბატონ ზურაბიშვილს. მას საქართველოში, როგორც ადრე იტყოდნენ, არც ერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული. მოღალატედ დაბადებული ადამიანი, როგორც ჩანს, ვერც გრძნობს ხოლმე თუ როგორ ღალატობს ადამიანებს, საქვეყნო ინტერესებს, სამშობლოს. დიდი მადლობა ქალბატონო სალომე ყველაფრისთვის, აფერუმ, რომ ასე უდგახართ გვერდში ქართულ ავიაკომპანიას. იმ დროს, როდესაც ქალბატონი სა-

ლომე პარიზის ქუჩებში დასეირნობდა, ქართველი მფრინავები ხანძარმოდებულ აფხაზეთში დაფრინავდნენ და სამშობლოს ერთიანობის იდეას ეწირებოდნენ“, – წერს **თამაზ გაიაშვილი.**

„იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს „ოკუპაციის შესახებ“ კანონი დარღვეული არ აქვს, საქართველოში შემოსვლა შეუძლია“, – ასე უპასუხა პრეზიდენტს თბილისის მერმა **კახი კალაძემ**, რომლის განცხადებით, ამ საკითხზე ცალკეული პირები სპეკულირებენ, რაც ორმაგი სტანდარტია.

„არ ვიცი ლავროვის სიძე იყო თუ სხვა ადამიანი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანია ერთი რამ, ამ ადამიანებს ჰქონდათ თუ არა დარღვეული „ოკუპაციის შესახებ“ კანონი. შესაბამისად, თუ ამ ადამიანებს არ ჰქონდათ აღნიშნული კანონი დარღვეული, მათ სრული უფლება ჰქონდათ შემოსულიყვნენ საქართველოში. ეს არის ჩვეულებრივი სპეკულაციები, ესენი არიან ფარისევლები, საერთოდ არანაირი დემოკრატია, ქვეყნის არავითარი სიყვარული, უბრალოდ, ძალიან დიდი დაშორებაა ამ ადამიანებსა და ზოგადად, დემოკრატიულ ღირებულებებს შორის.

ესენი გახლავთ ადამიანები, ვინც ქვეყანას გარკვეული წლების განმავლობაში მართავდნენ, ჩვენ გვახსოვს ამ ადამიანების განცხადებები 2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც ღიად მოუწოდებდნენ რუსებს ჩამოსულიყვნენ, საქართველოში ემოგზაურათ, ბიზნესი ეკეთებინათ. ასევე, გვახსოვს ოფიციალური წერილები ომიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც იწვევდნენ რუსებს საქართველოში ჩამოსასვლელად. დღეს ვისმენთ მათ განცხადებებს. ესენი არიან ჩვეულებრივი ფარისევლები, სპეკულირებენ. ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება ნახოს, რომ ეს არის ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტი“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ დღეს რუსეთს აწყობს კავკასიის აფეთქება, მით უმეტეს, საქართველოსი და რუსეთს ბევრი ინსტრუმენტი აქვს საქართველოს ასაფეთქებლად. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, საინტერესოა რა ოპერატიულად გებულობენ საქართველოში ოპოზიციის წარმომადგენლები, ვინ ჩამოდის, როდის ჩამოდის და სად ჩერდება?! შესაბამისად, იგი თვლის, რომ აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნა – ქვეყანაში მოქმედებს მეხუთე კოლონა.

„მე-5 კოლონა რუსეთის ინტერესზე მუშაობს, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩაიშალოს კანდიდატის სტატუსი და მეტი რაღა უნდა ქნან? რუსეთის პასპორტიანი მოქალაქეები ჰყავთ პარტიაში, ბიოგრაფიებზე აღარ ვლაპარაკობ და სხვა რა უნდა მოხდეს, როდემდე უნდა გავიკვირვოთ მათი რუსეთთან სიახლოვე, მათი ინტერესი? ყველაფერი კეთდება, რომ საქართველო ამოვარდეს იმ ქვეყნების რიგიდან, სადაც ყოფნა უსაფრთხოა. „გავრილოვის ღამეც“ იგივე იყო, მერე პოზნერი ჩამოვიდა და ისიც იგივე იყო. ანუ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველო ამოვარდეს იმ ქვეყნების რიგიდან, რომელში ყოფნაც უსაფრთხოა. შესაბამისად, მოაკლდეს ტრანზიტი, მოაკლდეს ტურისტი და ა.შ. ავტობუსში მყოფი ადამიანების შეურაცხყოფა ხომ უკვე იმის ნაბიჯია, რომ აი, ჩვენთან ყოფნა სახიფათოა. ძალადობაა წასული წინა პლანზე და თუ ჩვენთან ყოფნა სახიფათოა, ეს მესიჯი მარტო რუსისთვის კი არ იქნება, არამედ ყველასთვის, ვინც უცხოეთიდან მოდის“, – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

თამთა ქარჩავა

აფერისტები ხართ, ტყაჭებო!

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი, სვიმონ ჯანგულაშვილი სოციალურ ქსელში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმიანება.

როგორც ის წერს, **ანტირუსულ ისტერიას მართავს ძალა, რომელმაც 2008 წლის მერე რუსეთს ყველანაირი დათმობა აჩვენა, ყველაფერი გადასცა, უვიზო რეჟიმი დაუწესა და ამტკიცებდნენ – კარგია რუსეთთან ფლირტიო და რუსი ტურისტებიო, რუსულ ფულს სუნი არ ასდისო.**

„გერგიევისგან, რუსეთის მაფიოზ-ოლიგარქისაგან ერიცხება „ჰონორარი“ ბლჯკას.

საავტოროაო.

თუ საავტორო უფლებას ფლობს სოლიკო ვირსალაძის შემოქმედებაზე, მაშინ რატომ არ გამოიყენა ეს უფლება ამდენი ხანი და რატომ არ აუკრძალა ოკუპანტ რუსეთს ხოშტარიების საკუთრებასა და მფლობელობაში

არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობით სარგებლობა?

იმიტომ რომ მამამისიც კგბ-ს აგენტი და რუსეთის ესკორტი იყო (ზვიადს რომ უღალატა) და თვითონაც ასეთია. МГИМО-დამთავრებულებს პოლონეთსა და ბალტიისპირეთში საჯარო სამსახურებში არ ამუშავებენ, რადგანაც, იციან, რომ ისინი თავისთავად რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან. ჩვენთან კი, ვითომ ანტირუსულ ისტერიკას ხელმძღვანელობს ეგ ქალ-კალია...

„ერისიონი“ თუ რუსეთში აიღებს ინტელექტუალური საკუთრებით და შრომით ჰონორარს, მოღალატეა ხო?

იხ. 5 გვ.

სვიმონ ჯანგულაშვილი: კეზერა რომ ქართველი ჯარისკაცების ფულითაა გამდიდრებული, ევროპელ პენსიონერებს რომ ძარცვავს და „გალფში“ ლავროვთან ერთადაა მეწილე, ეს ნორმალურია?

თუ საქართველოში ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით, ანუ რევოლუციით შეიცვალა, არავითარ სტატუსს არ მოგვცემენ!

..19 მაისს მოსკოვი-თბილისის პირველი რეისი შესრულდა. თუმცა თვითმფრინავიდან ჩამოსულ მგზავრებს ელენე ხოშტარიას მეთაურობით შეძახილებით, შტვენით, ზინებით, შეღებილი კვერცხების სროლით და განერებით დახვდნენ. მოსკოვიდან პირველი პირდაპირი რეისის შესრულებას ხმაური მოჰყვა აეროპორტშიც. „აზიმუტის" თვითმფრინავი თბილისში 13 საათსა და 15 წუთზე დაეშვა. მოსკოვიდან ჩამოსულებს შორის იყვნენ ორგანიზაცია „სოლიდარობა მშვიდობისთვის" წევრები: მერაბ ჭირაქაძე და ვალერი კვარაცხელია, ასევე პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ლორთქიფანიძე და ბიზნესმენი მამუკა ფიფია.

პოლიციამ დემონსტრანტების დაკავება მას შემდეგ დაიწყო, რაც აქციის მონაწილეებმა სამართალდამცველების კორდონის გარღვევა და აეროპორტის შესასვლელისკენ გაქცევა სცადეს. ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციის 6 მონაწილე, მათ შორისაა პოლიტიკოსი ლევან თარხნიშვილიც. „აზიმუტის" მგზავრებმა თბილისის აეროპორტი პოლიციის კორდონის საშუალებით დატოვეს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ ოპოზიციისგან განცხადებები, საპროტესტო აქციის მოწყობა ჯერ აეროპორტში და შემდეგ რუსთაველის მოედანზე მეტყველებს ერთ რამეზე, რომ ეს თემა მაქსიმალურად პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ. ანჯაფარიძე ამბობს, რომ მიზანია, როგორც 7-8 მარტს მოხდა, ხელისუფლება აიძულონ უარი თქვას რუსეთთან პირდაპირ ავიამიმოსვლებზე.

„უვიზო რეჟიმს ვერაფერს უზამენ, ეს რუსეთის მიერ არის დაწესებული, მაგრამ ოპოზიცია ეცდება, სავიზო რეჟიმი რუსეთისთვის დააწესონ. ახლა ხომ არის, რომ ამჟამინდელი სავიზო რეჟიმით 90 დღე შეუძლიათ საქართველოში ყოფნა, შემდეგ მეზობელ ქვეყანაში გავიდნენ და კვლავ უკან დაბრუნდნენ და ისევ 90 დღე გაჩერდნენ. არის ასეთი ინიციატივა, რომ 90 დღის გასვლის შემდეგ, იმავე წელს მათ უკან შემოსვლის საშულება აღარ ჰქონდეთ. ან მეორე ვარიანტი, რომ აქ ყოფნის ვადა უფრო ნაკლებ პერიოდამდე შეუმცირდეთ. ამ ყველაფრის გვირგვინი კი სალომე ზურაბიშვილის განცხადება იყო, რომელმაც ეს საპროტესტო მუხტი გახსნა, როცა დაწერა „არა რუსულ ფრენებს". ჩვენ ვნახავთ, ოპოზიცია მოახერხებს თუ არა ამ დღეების განმავლობაში ხალხის მობილიზებას. თუ გამოიყვანენ ისეთი ტიპის ახალგაზრდების ჯგუფს, როგორც 7-8 მარტს ჰყავდათ – აგრესიული და პოლიციასთან კონფრონტაციაში წამსვლელები, არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიცია ამის შემდეგ რადიკალური ქმედებების განხორციელებას შეეცადოს და 7-8 მარტის აქციის მსგავსი გაიმეორონ. ხელისუფლებას კი ამით, კიდევ ერთხელ, პოლიტიკური და რეპუტაციული ზიანი მიაყენონ", – ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, 7-8 მარტის პროცესებზე ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე კანონპროექტი უკან გაეწვია, არანაკლები როლი დასავლეთიდან წამოსულმა ზეწოლამაც შეასრულა. ანჯაფარიძე ამბობს, რომ ახლაც დასავლეთს უვიზო მიმოსვლაზე და ფრენების აღდგენაზე საკმაოდ მძაფრი რეაქცია აქვს.

„ყოველ დღე ვხედავთ ამერიკის ელჩის კელი დეგნანის განცხდებები როგორ მკაცრდება. თითქოსდა საკუთარ პოზიციას გამოხატავს, მაგრამ ამავე დროს, თავისი განცხადებებით საზოგადოებას აგულიანებს, რომ გარეთ გამოვიდნენ ისე, როგორც ამას ე.წ. აგენტების კანონის დროს აკეთებდა. იგივე ევროკავშირიდან წამოსული განცხადებები, სადაც ამბობენ, რომ ამან შესაძლოა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე გავლენა მოახდინოს. ეს ყველაფერი ერთობლიობაში იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ საქართველოს ხელისუფლებაზე დასავლეთიდანაც ზეწოლა იქნება. ოპოზიციას დღეს ხელისუფლების საწინააღმდეგო იარაღად არაფერი აღარ დარჩა, გარდა რუსული თემით მანიპულირების. ვითომ „ოცნება" აშორებს ევროკავშირს ქვეყანას და რუსეთისკენ მიაქანებს. თავად ევროპელებიც და ამერიკელებიც განცხადებებით, ოპოზიციის ნარატივს ამაგრებენ. ევროპაში უკრაინაში მიმდინარე ფონზე ისეთ დაძაბულ მდგომარეობაში არიან, რუსეთთან ნებისმიერ ურთიერთობას გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. ფიქრობენ, რომ რადგანაც რუსეთმა ეს გადწყვეტილება მიიღო, ამით რუსეთი ცდილობს, საქართველო ევროკავშირს ხელიდან გამოსტაცოს", – ამბობს ანჯაფარიძე.

მისივე თქმით, როდესაც ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლება უნდა დავამხოთ, ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ, რადგან ევროპას გზა გავუხსნათ, რითიც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება გაიოლდებაო, ეს წმინდა წყლის ავანტიურაა.

„თუ საქაართველოში ხელისუფლება არაკონსტიტუციური გზით შეიცვალა, რევოლუციით, დარწმუნებული იყოს ყველა, რომ არვითარ სტატუსს არ მოგვცემენ. ევროპა იტყვის, რომ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეთ და მერე ვნახოთ. რატომღაც ხელისუფლება საზოგადოებას ამას ვერ უხსნის და ვერც საზოგადოების ნაწილი იგებს. საქართველოს ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით ცვლილება, ჩვენთვის სტატუსის მონიჭების საკითხს პირდაპირ ურტყამს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფონზე, ევროკავშირმა სტატუსი უფრო მოგვცეს, რათა ქვეყანა რუსეთის გავლენის ქვეშ არ მოექცეს", – ამბობს ანჯაფარიძე.

ანალიტიკოსი **თამარ კიკნაძე** კი ამბობს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები წლების განმავლობაში საერთოდ დიპლომატიური პრაქტიკიდან იყო ამოვარდნილი. კიკნაძე ამბობს, რომ ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში უკან დასახევი გზა არ ყოფილიყო.

„დღეს რაც საქართველოში ხდება, ეს ქვეყნის გეოპოლიტიკური კოდის წინააღმდეგ სვლაა. არასოდეს ასეთი სვლები კარგად არ მთავრდება. დღეს, როდესაც ხელისუფლება ეროვნულ ინტერესებს ადასტურებს, ძალიან კარგია. ჩვენი ქვეყანა როგორც რუსეთისთვის, ასევე დასავლეთისთვის იმდენად ღირებულია, რომ შეუძლია ამ ვითარებაში თავის სასარგებლოდ ძალიან კარგად ივაჭროს. ის ძალები, რომლებიც დღეს რუსეთიდან უვიზო მიმოსვლას და ფრენებს აპროტესტებენ, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან, ესენი ის ძალები არიან, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები არ ადარდებთ.

ეს ხალხი თავისი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მათ აქვთ მერკანტილური ინტერესები და აქედან გამომდინარე მოქმედებენ. ეს ადამიანები ან უმეცრები არიან, ან სხვა ძალების მიერ მართულები. შესაძლოა, ორივე ერთად იყოს. ამ რეისებს ძალიან დიდი პრაქტიკული დატვირთვა აქვს, რადგან რუსეთში მილიონამდე ქართველი ცხოვრობს. წარმოიდგინეთ, რომ ეს ხალხი შემოვლითი გზით დადიოდა. ის შემოსავალი, რაც ქვეყანამ უნდა მიიღოს, ამ სარგებელს ვერ იღებს. საერთაშორისო ურთიერთობებში რაღაცა ძვრა თუ არ მოხდა, ომის საშულებით ტერიტორიების დაბრუნების თავი არ გვაქვს. ამიტომ დღეს ქვეყანას ძალიან ხელსაყრელი მომენტი ეძლევა, თუ ამ შესაძლებლობებს გამოვიყენებთ, შესაძლოა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ძალიან კარგი ნაბიჯები გადაიდგას. საქართველო საკვანძო ქვეყანაა, ხელისუფლება ამას ტექნიკურად როგორ გამოიყენებს, მათ პოლიტიკაზეა დამოკიდებული. რასაც მე ვხედავ, ხელისუფლება ქვეყნისთვის ძალიან სწორი ტაქტიკით მოქმედებს", – ამბობს კიკნაძე.

ლიკა ბერიკაშვილი

რა დამატებითი შემოსავალი შეიძლება გაჩნდეს „ჰაერიდან"

იასე ზაუტაშვილი: კომპანია „აზიმუტი" პირველი სანთუარაა!

რასაკვირველია, ზაფხულის სეზონზე ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ტურისტი შემოვა. არსებული მოვლენებისა და დატვირთვის გათვალისწინებით აქამდეც არსებობდა მოლოდინი, რომ 2023 წლის საკურორტო სეზონი კიდევ უფრო დატვირთული და ძვირი იქნებოდა, თუმცა ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს ახალი გარემოებებიც. სეზონი როგორ ჩაივლის ამის თქმა ჯერ რთულია, თუმცა უკვე შეიძლება ითქვას, რომ დატვირთვა ბევრად მაღალი იქნება.

„სეზონზე ზღვისპირეთში ნაკადის გამო, ფასები ისედაც ყოველთვის მატულობს. დამსვენებლები სხვადასხვა ქვეყნიდან მუდმივად შემოდიან, რაც თავისთავად მოქმედებს ტარიფზე. ახლა, მიჭირს იმაზე საუბარი, თუ რამდენად ძვირიანი სეზონი იქნება, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ მოთხოვნამ კიდევ მოიმატოს, მაგრამ ამ გადმოსახედიდან შემიძლია იმის თქმა, რომ ფასებში და შემოსავლებში განსხვავება შარშანდელთან შედარებით დიდი არ იქნება", – განაცხადა ბათუმში მდებარე ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მფლობელმა **მაია დავითაძემ**.

რასაკვირველია, რუსეთიდან პირდაპირი ფრენა ტურისტულ ნაკადს გაზრდის. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ეკონომიკის მინისტრს, როდესაც ივარაუდა, რომ ავიამიმოსვლის განახლებით ქვეყანა დამატებით 300-400 მლნ დოლარს მიიღებს. **ლევან დავითაშვილის** შეფასებით, ეს სწორედ ტურისტული ინდუსტრიის ხარჯზე მოხდება, სადაც დატვირთვა გაიზრდება. ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი ქვეყნის ეკონომიკური სარგებელიც მოიმატებს, მთავრობაში ვარაუდობენ, რომ პარალელურად ეს გავლენას იქონიებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე და მოსახლეობის შემოსავლებზეც, რომელიც რამდენიმე თვეში ადვილად დათვლადი იქნება.

სპეციალისტები კი ასე სულაც არ ფიქრობენ. ავიაციის სფეროს ექსპერტმა **იასე ზაუტაშვილმა** რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენა შეაფასა. მისი აზრით, ფრენის აღდგენას საქართველოს ეკონომიკაზე ექნება ნული შედეგი და ქართული კომპანიები უფრო მეტ კრიზისში აღმოჩნდებიან და შესაძლოა, დაკარგონ ის ისტორიული ევროპული რეისებიც, რომლებიც დღეს გააჩნიათ.

„გამოვიდა ეკონომიკის მინისტრი და რაღაც 300-400 მილიონის შემოსავალზე ისაუბრა. სტატისტიკასაც რომ გადავხედოთ, ამ ტუ-

აფერისტები ხართ, ტყაჭებო!

(მესამე გვერდიდან)

და ეგ Struthio/სირაქლემა თუ აიღებს გერგიევ-პუტინისგან „ჰონორარს“ მის საკუთრებაში მყოფი ინტელექტუალური საკუთრებით, ეს არაფერია ხო?

ვის ატყუებთ, ნაცებო? თავს რატომ იტყუებთ, „პროგრესულო ახალგაზრდებო“ და ლაშა-დარეჯან მუღაძე-თათქარიძის, მლოკა გერგიევნა ხოშტარიასა და ქეთი რიფენშტალ-დევდარიანის მრევლო?

რატომ არ აუკრძალა ამდენი წლის მანძილზე რუსებს მისი საკუთრებით სარგებლობა?

რატომ არ დაიწყო სასამართლო დავა რუსეთის წინააღმდეგ, თუ ეგეთი ანტირუსია?

წლებია, მილიონებს იღებს, ვითომ ვირსალაძის ჰონორარად, სინამდვილეში, ქვეყნის არევაში, რუსეთის საქმის კეთებაში.

იმიტომ რომ, რუსულ ფულებს დახამეგული გოჯები არიან. და სხვებს აბულინგებენ რუსეთთან ოდნავ გაკარებაზეც კი.

ანტირუსულ ისტერიას მართავს ძალა, რომელმაც 2008 წლის მერე რუსეთს ყველანაირი დათმობა აჩვენა, ყველაფერი გადასცა, უვიზო რეჟიმი დაუწესა და ამტკიცებდნენ – კარგია რუსეთთან ფლირტიო და რუსი ტურისტებიო, რუსულ ფულს სუნი არ ასდისო (ქვემოთ ვდებ გერგიევნას და განავლის კასრ მშვილდაძის ვიდეოებს ამ თემაზე).

კობა ნაყოფია რომ რუსი მიზნესმენია!..

კეზერა რომ ქართველი ჯარისკაცების ფულითაა გამდიდრებული, ევროპელ პენსიონერებს რომ ძარცვავს და „გალეფში“ ლავროვთან ერთადაა მეწილე, და თქვენ მაგათი დაფინანსებული უნიჭოების მრევლი ხართ და

ახლა რომც დაიწყოს აკრძალვა რუსებისთვის ან სასამართლო დავა ამ მიზნით, უკვე „დამწვარი პონტია“ – ცხადია, რომ შირმა იქნება. ამდენი წელი კი ამდენი ფული აიღო. სასაცილოა – რუსეთი ჰონორარებს ალა პუგაჩოვასა და კირილ სერებრენნიკოვს არ აძლევს და მაინცდამაინც გოგი და ჰელენა ხოშტარიების ოჯახზე იცავს პუტინის საავტორო უფლებების კანონმდებლობას? ხოდა, მით უმეტეს – თუ დაცულია რუსეთში საავტორო უფლებები და ასეთი კარგი და მოწესრიგებული სახელმწიფო აქვს რუსეთს, მაშინ, ვიმეორებ – რატომ აქამდე არ გამოიყენეს კანონმდებლობით გათვალისწინებული საავტორო უფლებები და რატომ არ აუკრძალეს ოკუპანტ რუსეთს მათი ოჯახის საკუთრების გამოყენება?

ვითომ რუსეთს ებრძვით რუსთაველის გამზირზე, ნორმალურია?

აფერისტები ხართ!

ტყაჭები ხართ!

რუსეთის ამ აგენტების და მათი გენეფიციარების – უნიჭო პროპაგანდისტების – ლაშა ბუღაძის, ქეთი დევდარიანისა და ნოდარ მელაძის, ნანუკა ჟორჟოლიანის მრევლი ხართ – ან მათსავით ფარისევლები და აფერისტები, ან ახლომხედველი სასარგებლო სულელები.

ტყაჭები!

P. S. რაო, ახლა აღარ წამლავენ საააშვილს? ახლა აღარაა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი და მეორე ილია და აღმაშენებელი? ხომ გაგაჩუმათ სტრასბურგმა, უნიჭოებო?“...

დროები მეფობენ და არა მეფენი!

ყველაფერს თავისი დრო აქვს – ჩემი ღრმა რწმენით, პარტია „ქართულმა ოცნებამ“, ანუ უმრავლესობამ თავისი დრო მოჯამა – ხელისუფლებაში ყოფნის შევარდნაძის რეპორდს იმეორებს! ხომ არ აჯობებს, რომ განზე გადგეს და გზა ოპოზიციური პარტიების კოალიციას დაუთმოს! მათ შორის დავიდარაბას წერტილი უნდა დაესვას, რომ გვეშველოს და ამოვისუნთქოთ. ჩვენც, ხალხი, ამ ქვეყნის შვილები ვართ!!! მრავალგზის დამტკიცდა, რომ „თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვენ“.

პარლამენტარებს პაპუაშვილს, კოგახიძეს, მდინარაძეს ოპოზიციური პარტიების მკაცრი განცხადებების გაგონებაზე ელეთმელეთი მოსდით, უწესრიგობაზე – ხარობენ, ცას ეწევიან და მოწინააღმდეგეს მიწასთან ასწორებენ. თავიანთ პარტიაში წარმოქმნილ შფოთზე, არეულობაზე, ზოგჯერ თვალებს ხუჭავენ, „ვერ ამჩნევენ“ და ძირითადი ბირთვის – ხელისუფლების, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა რადიკალების საქმიანობით, ფარისევლური ქცევებით კმაყოფილები არიან, იმედს მათზე ამყარებენ.

თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკიკინა, შეხტაო, შე თხაო, რა გიხარია განა სამგლეთი წახდაო, შენ თუ დაზარდე თიკნები, მგელსაც ლეკვები დარჩაო! ეს ხალხური სიბრძნე მუდამ უნდა გახსოვდეთ...

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მომავალზე პუტინისგან „ქართულ ოცნებას“ ალბათ მიეცა დავალება არა „ეპისტოლარული“, არამედ – საიდუმლო, დაფარული...

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება ასრულებს თუ არა ამ დავალებას, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

„ოცნების“ ხელისუფლება მოქმედებს ფრთხილად, ისე, რომ ცუდი რამ არ დაბრალდეს, უარყოფითი მოვლენები კი საკაშვილს და ნაცებს გადააბრალოს! გამოტანილი განაჩენი, მიცემული პირობის თანახმად, სისრულეში მოიყვანოს! წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერებს მოსკოვში არ ჩაესვლებათ!



მე მაინც მგონია, რომ პუტინის დავალება ვერ განხორციელდება, ბედი არ უწერია! დასავლეთისგან გარიყული პუტინი ამას ვერ ეღირსება!

ოთარ შონია,
არქიტექტორი,
მობ: 571-39-05-92

ჩინეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს სამხედრო და ეკონომიკურ ალიანსს სთავაზობს

ჩინეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი გავლენის ზრდას განაგრძობს და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით თავისი „ძოლგის“ ქვეშ გაერთიანებას სთავაზობს. ეს უპირველესად, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს ეხებათ.

გასული კვირის ბოლოს ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის ხელმძღვანელებს შეხვდა და თანამშრომლობის გაფართოება შესთავაზა, მათ შორის – სამხედრო სფეროში.

G5-ის სახელით ცნობილი ამ ჯგუფის პირველი პირისპირ სამიტი სიანში - ჩინეთის ძველ დედაქალაქში გაიმართა, – სწორედ იქ, საიდანაც ლეგენდარული „აბრეშუმის გზა“ იღებდა სათავეს. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ სი ძინპინმა დაადასტურა ჩინეთის მზაობა, გაამყაროს ცენტრალური აზიის რესპუბლიკების თავდაცვა, გაზარდოს მათი შესაძლებლობები უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რათა **„რეგიონში მშვიდობა იქნას უზრუნველყოფილი“,** – წერდა სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „სინხუა“.

ამასთან, ძინპინმა გააკეთა განცხადება 26 მლრდ იუანის ($3,6 მლრდ) ოდენობის ფინანსური მხარდაჭერისა და „უფასო დახმარების“ გამოყოფის გეგმის შესახებ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას მოხმარდება ეს თანხები.

როგორც ამასთან დაკავშირებით „Financial Times“-ს Carnegie Russia Eurasia Center-ის მკვლევარმა თიმურ უმაროვმა განაცხადა, მაღალი ალბათობით, ჩინეთი უახლოეს ხანებში განაახლებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთობლივ წვრთნებს, მათ შორის – ჩინეთის შინაგანი ჯარის მონაწილეობით, პეკინის განსაკუთრებულ ინტერესს კი ამ კუთხით იწვევს ტაჯიკეთი, რომელიც არა მარტო ჩინეთს, არამედ ავღანეთსაც ესაზღვრება.

„ტაჯიკეთის ჯარს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ ყველაზე ძლიერს ცენტრალური აზიის რეგიონში, ამდენად, პეკინის თვალთახედვით, ეს მისი საკუთარი ერთგული უსაფრთხოების უზრუნველმყოფის ზომების გაგრძელება იქნება“, – განმარტავს მკვლევარი.

ბოლო დრომდე კრემლის ორბიტაზე მყოფი ცენტრალურაზიური პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ახლა, უკრაინის ომისა და მისით გამოწვეული დასავლური სანქციების ფონზე ტოქსიკურად ქცეული რუსეთისგან დისტანცირებას ცდილობენ. ყაზახეთმა, მაგალითად, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი გახლავთ, უკრაინაში რუსეთის შეჭრის მხარდაჭერაზე უარი განაცხადა, გასულ წელს კი სადაზვერვო მონაცემების გაცვლის შესახებ შეთანხმება გააფორმა თურქეთთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ნატოს წევრი სახელმწიფოა.

„რეგიონში მოსკოვის გავლენა აშკარად იკლებს, თუმცა საუბარი იმაზე, რომ პეკინი მოსკოვს უახლოეს ხანებში სრულად ჩაანაცვლებს, ნაადრევია: მათ შორის სადღეისოდ რეგიონში ერთგვარი ჩუმი კონკურენციაა“ – თვლის ტაივანის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტის მკვლევარი ჩინიუ შიხი.

ჩინეთის ოფიციალური სტატუსტიკური მონაცემების მიხედვით, გასულ წელს G5-ის ქვეყნებთან პეკინის ტვირთბრუნვამ $70,2 მლრდ შეადგინა, ევროპისკენ ტვირთნაკადის 80% კი ამ ქვეყნების გავლით ტრანზიტით იყო უზრუნველყოფილი.

რისტებს ისედაც ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ საქართველოში შემოსულიყვნენ. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების რაოდენობა საკმაოდ დიდია. მათ შეძლეს ის, რომ სერვისის და უძრავი ქონების ფასი ასწიეს. თუ ეკონომიკის მინისტრი გულისხმობდა იმას, რომ ეს იქნებოდა დამატებით შემოსავალი ქართულ ავიაკომპანიისთვის, ამაშიც ვერ ვეთანხმები და ამის საფუძველს მაძლევს წინა პერიოდი, როდესაც 2014 წელს საქართველოს საავიაციო ხელისუფლებამ რუსეთს ცალმხრივად გაუხსნა ცა და ყველა რუსული თვითმფრინავი შემოვიდა საქართველოში. დაგვიდგა ის დილემა, რომ შემდეგ მათ დემპინგურად დასწიეს ფასები და თუ ჩვენი ბილეთის ფასი იყო 160 დოლარი, მათ მომხმარებელს შესთავაზეს 60 დოლარად და შესაბამისად, მგზავრები გადავიდნენ მათთან და ჩვენ გამოვედით ბაზრიდან“, – აღნიშნა იასე ზაუტაშვილმა.

მისივე თქმით კომპანია „აზიმუტი“ არის პირველი სატყუარა, რომელიც რუსეთმა გამოუშვა და მას აუცილებლად მოჰყვება სხვა ავიაკომპანიებიც.

„არ გავა ერთი თვეც და „აზიმუტს“ მოჰყვება სხვა ავიაკომპანიებიც. ისინი შემოვლენ „ბოინგებით“ და კომფორტული ბორტებით და ამის შემდეგ მოახდენენ ბაზრის მონოპოლიზებას და თუ არ შედგა რამე კარტელური გარიგება ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის, ისინი ფასებს ისევ დასწევენ და მთლიანად ექსკლუზიურად გახდებიან ამ მიმართულების შემსრულებლები.

თვითმფრინავი არ არის მხოლოდ სამგზავრო დანიშნულების, მისი გამოყენება სატვირთო გადაზიდვებისთვისაც შეიძლება, როცა საუბარია დღეში 2 ან 3 რეისზე, თქვენ წარმოგიდგენიათ, რამდენი სახის ტვირთი შეიძლება იქნეს აქეთ-იქით გაგზავნილ-გამოგზავნილი და მათი ლეგალურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

მე ვფიქრობ, რუსებმა გაიხსნეს ის ფანჯარა, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაში დაკეტილი ჰქონდათ. მათ არ იციან, თუ რა იქნება ხვალ და ზეგ თურქეთთან, დუბაისთან და ისრაელთან მიმართებით და სამხრეთ კავკასიაში მათ ეს შესაძლებლობა აქვთ, ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, ვიდრე ეკონომიკური“, – აღნიშნა „კომერსანტთან“ საუბრისას ზაუტაშვილმა.

ბეჭა დანელია



ჯერ შემოიპარნენ, შემდეგ იქორწინეს!

ადამიანს რომ ნათლავენ, იმთავითვე ცხადია, რომ როცა ზრდასრული გახდება, მოძებულ სახელს ან განადიდებს, ანაც პირიქით – შეარცხვენს.

ასევეა ელენეს შემთხვევაშიც: ყველას მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, ხოლო კატენაჩიოს ანტისაფეხბურთო სტილის გამომგონებელმა ელენიო ერერამ (მერე რა, რომ კაცია?) მილანის ინტერს ორჯერ მოაგებინა ჩემპიონთა თასი.

როგორც ყველაფერში, ვხვდებით საპირისპირო მაგალითებსაც: კერძოდ, საკმაოდ გახმაურებულია ქმრის მოღალატე დედოფალ ელენას გამო ატეხილი ომის ფაქტი, პოპულარულ ისტორიულ ფილმ „ტროას“ ინსპირაცია რომ გახდა. ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ალბათ სჯობს თანამედროვეობას დავუბრუნდეთ და მოძველმიჭო თხუპნიას – **ელენე ხოშტარიას** კიდევ ერთხელ შევაწიოთ რამდენიმე „სმეშნოი“ სიტყვა, მით უმეტეს, სეზონის შესაბამისად ამძუვნებულს გაზაფხულის მიწურულს მეორე სუნთქვა რომ გაეხსნა და ნაცტელებორდელების ეკრანებიდან არ ჩამოდის.

ამჯერად მოსკოვის მგიმოში-კაგებეს სამჭედლოში დაფრთიანებულმა ბარტყმა მორიგი სერია რუსეთ-საქართველოს შორის ფრენების აღდგენასა და უვიზო მიმოსვლას მიუძღვნა, გააქტიურების საბაბად კი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დაშვებული უკრაინის მიერ (ყოველ შემთხვევაში, დესტრუქციულმა ოპოზიციამ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა) დასანქცირებული ავიაკომპანია „აზიმუტის“ ლაინერის პირველი რეისი გამოიყენა. თანამოაზრეთა აყოლიებას რა უნდა და მათი, თავს რომ სამოქალაქო აქტივისტებად გვასაღებენ, კომპანიონობით გულმოცემულმა საპატრულო პოლიციის ავტომანქანის საქარე მინა ჩვეული ტრიუკით შეალამაზა ძნელად მოსაშორებელი სპრეით.

იქვე კიდევ ერთი სცენა გათამაშებულა, საშაყირო თემად რომ იქცა: თბილისში ჩამოფრენილმა ერთ-ერთმა მგზავრმა „დროას“ მედროვე ლიდერს რუსული ბიუჯეტიდან კუთვნილი თანხა ჩამოუტანა და ხელზე გადასცა, რადგან ჩრდილოეთიდან საბანკო გადმორიცხვები, გასაგები მიზეზების გამო, შეჩერებულიაო. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ამბავი, ის კი საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ხოშტარიების ოჯახი ბოლო წლებში სახელოვანი წინაპრის კუთვნილი ჰონორარებით უხვად ფინანსდება რუბლებით ოკუპანტი სახელმწიფოდან.

მართალია, აღნიშნული ანგლობა, ჭირვეულ პოლიტიკანს ხახვივით შერჩა, მაგრამ ორიოდე დღეში კოკამ წყალი უკვე ვეღარ მოიტანა. საუბარია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის ოჯახის წევრთა კახურ ვიზიტზე და პირველი ვერსიით, ჩაშლილ ქორწილზე, არადა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი სტუმრებს ლოპოტას ტბის სიახლოვეს ადგილობრივი მიზნესმენის კერძო მარანში მაინც პომპეზურად გადაუხდიათ.

მოკლედ, სარფიან საკბილოდ ქცეულ მოვლენათა ეპიცენტრში გადასროლილი ეს ჩვენი დროის წურბელა თელაველმა სამართალდამცველებმა გასკვანჩეს და დედაქალაქის დროებითი (ისევ ეს საკრალური სიტყვა დრო) მოთავსების იზოლატორში ეტაპით ჩამოაბრძანეს. და როგორ გგონიათ, როგორ გამოეხმაურა იდეური ტყუპისცალის რამდენიმესაათიან ექსკურსიას გაზუთხული ტექსტებითა და ბედის ნებიერას ჰონორით მოლაპარაკე დიამბეგი და დალელოებული კაროჟნა სალომე სამადაშვილი: ოთხი შვილის დედას თავისუფლება აღუკვეთესო.

შე მამაცხონებულო – თქვენ არ იყავით, ცხრა შვილის მამა თემურ ჟორჟოლიანი სასიკვდილოდ დასნეულებული რომ აყურყუტეთ კოშმარულ ციხეში ან სამაგალითოდ ნაწამებ სულხან მოლაშვილს მთელი წლის განმავლობაში რომ არ აჩვენებდით მონატრებულ ბავშვებს? შეირგეთ საკურორტო პირობები და ხმას მაინც ნუ იღებთ!

რაც შეეხება რადიკალთა ატეხილ კრიახს – სად არის უსაფრთხოების სამსახური და როგორ შემოაღწიეს საქართველოში ამერიკის მიერ სანქცირებული რუსი მაღალჩინოსნის ნათესავებმაო, უმჯობესი იქნება, პასუხი საკუთარ ინფორმატორ-წყაროსაც მოჰკითხონ, სამი დღე რომ არ ჩაუშვა მექორწინენი და ისე იგრიალეს, მთელი დარჩენილი ცხოვრება რომ ტკბილად მოიგონებენ.

გია პლატონიშვილი

ინფორმაცია თემაში

ლაკას ნაგვიანები აღიარება

ელენე ხოშტარია „ქრონიკის“ კითხვებს აღარ პასუხობს. „დროას“ ლიდერი „იმედთან“ გოიკოოტს ირჩევს. მისი გაღიზიანება კახეთში გამართულ აქციასთან დაკავშირებით მედიაში გაჩენილ კითხვებს მოჰყვა.

ხოშტარია ადასტურებს, რომ ყვარელში, აქციის მიმდინარეობისას უკვე იცოდა, რომ სტუმრები საქართველოში აღარ იმყოფებოდნენ. მიუხედავად ამისა, რატომ არ გაუმხილა ეს ინფორმაცია აქციის მონაწილეებს, მან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ისურვა!..

„პოლიციას, სასამართლოს, „იმედს“, „პოსტივისა“ და რუსთავი-2-ს აღარ ვეთანამშრომლები“, – განაცხადა ხოშტარიამ.

ბათუმის ბულვარი საზღვაო სეზონისთვის ემზადება

თორნიკე რიუუაძე ბათუმის ბულვარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

აჭარის მთავრობის ინფორმაციით, ბულვარში მიმდინარეობს საჯარო და კერძო ობიექტების რეაბილიტაცია-განახლება. რეაბილიტაცია უტარდება ბულვარის კოლონადებს, ეწყობა საბავშვო კუთხეები, მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოები.

ბათუმის ბულვარის კოლონადას სარესტავრაციო სამუშაოები უტარდება, რაც გულისხმობს მთლიანი კოლონადის ზედაპირის და დეკორატიული ელემენტების პირვანდელი სახით აღდგენას. სარეაბილიტაციო სამუშაოები იწარმოება კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად რესტავრატორის ჩართულობით.

ბათუმის ბულვარს შშმ პირებისთვის კიდევ ერთი ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ტივტივა ეტლებით აღჭურვილი ლოკაცია შეემატება.

ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის განახლება-რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში, ბავშვთა გასართობი კუთხე გაფართოვდა და განახლდა ინფრასტრუქტურა.

ბათუმის ბულვარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, მთავრობის აპარატის უფროსი ჯაბა სურმანიძე და ბათუმის ბულვარის დირექტორი ლაშა მიქელაძე გაეცნენ.

უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი „აუგუსტის ხილის ქარხანაში“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ სახელმწიფოს ხელშეწყობით შექმნილი ქარხნის ინფრასტრუქტურა უნგრეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს და უნგრული დელეგაციის წევრებს გააცნო. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქმედი კომპანია „აუგუსტის ხილის ქარხანა“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის აგროლოზინგის კომპონენტით სარგებლობს, აგროლიზინგის თანხა 250,000 ლარს აჭარბებს. ჯამურად, საწარმოში, 3 მლნ ლარის ინვესტიციაა განხორციელებული. ქარხანა ხილის ჯემებს და წვენებს აწარმოებს.

ყაზახეთის ქალაქიდან ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები იწყება

ყაზახეთის რესპუბლიკის 8 ქალაქიდან ბათუმის მიმართულებით პირდაპირი ფრენები იწყება. 10 ივნისიდან, მთელი სეზონის განმავლობაში, კვირაში 2-ჯერ ასტანა-ბათუმის ფრენებს ავიაკომპანია „სკატი“ განახორციელებს, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ავიაკომპანიის მიმართულებების დეპარტამენტის ხელმძღვანელ ანდრეი ბიბერთან შეხვედრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ გამართა. შეხვედრაზე ფრენების სიხშირის გაზრდაზე და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაზე იმსჯელეს. ჯაბა ფუტკარაძემ სკატის წარმომადგენელს ტურიზმის აღდგენის მზარდი დინამიკა, ვიზიტორთა ზრდის სტატისტიკა და სექტორში დაგეგმილი პროექტები გააცნო. შეხვედრას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მიშა კოპლატაძე და ყაზახეთის რესპუბლიკის ყველაზე რეიტინგული მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მინისტრმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. აჭარის შესახებ სტატიები ყაზახეთის ონლაინ პლატფორმებზე განთავსდება.

2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები მხოლოდ აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით (1,330,861 ვიზიტი) აღდგენილია 82 %-ით, 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდა +178%-ია. რაც შეეხება მხოლოდ დეკემბრის თვის მაჩვენებელს, საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები მხოლოდ აჭარის ადმინისტრაციული საზღვრების მონაცემებით (სარფი, აეროპორტი, პორტი) 2019 წელთან შედარებით გაზრდილია +124 % -ით (209,569). 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ზრდა +460%-ია.

ადრე წასული მხატვრის უკვდავება

სახვითი ხელოვნების „ძირის ძირს“ – ნახატებს, თანამედროვე სამხატვრო გალერეებში შედარებით იშვიათად ვნახულობთ, მარტო გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა კი, თანაც მხოლოდ ერთი ავტორისა, კიდევ უფრო მეტი იშვიათობაა. ჰოდა, სწორედ ასეთ ვერნისაჟს უმასპინძლა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზმა „ოპიზარმა“, სადაც ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვრის გიგი ხერგიანის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

„იესო უდაბნოში (გახსენება)“ , „გარდამოხსნა“, „ნოეს მოლოდინში“, „მარკოზ მოციქული“, „იუდას სული ჯვარცმის შემდეგ“, „ტორკვემადა“, „მოაზროვნე“, „კულტის მსახური“, „ცნობისმოყვარეობა“, „მზესუმზირის მცველი“, „დემონების შაბაში“, „საშინელი სამსჯავრო“, „ძველ დუქანში“, „ფიქრის ეროზია“, „ქალური ვნება“, „მემატიანე“, „მიმწუხრის გაბუაწვერები“, „ღამის ზმანება“, „ჭინკები შავი მთვარიდან“, „ფერადი აბსტრაქცია“, „უსასრულობა – ლოტოსი“, „მღვდელი თევდორე კვეთელი“, „აპოსტასია (ანტიქრისტეს ხელზე მთხვევა“), „ჩამოხსნილი ნიღბები“, „ნატურმორტი“ და კიდევ მრავალი სხვა: გიგი ხერგიანის, უდროოდ გარდაცვლილი ამ უნიჭიერესი შემოქმედის პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილ ასამდე ნამუშევრის ამდენი დასახელება საგანგებოდ იმიტომ ჩამოვთვალეთ, რათა მკითხველს მცირედი წარმოდგენა მაინც შეექმნას ამ ფანქრით, ფერადი და შავი მელნით, ასევე გუაშით შექმნილი ნახატების თემატიკის მრავალფეროვნებაზე, ავტორის სულიერი სამყაროს სიმდიდრესა და განცდათა სიღრმეზე.

გიგი ხერგიანი განათლებით ბიოლოგი იყო, ნამუშევრების პირველი გამოფენა მეორე კურსის სტუდენტმა მოაწყო. ახლობლების თქმით, შთაგონება იმპულსური ჰქონდა, ნახატების სიუჟეტებს სიზმრებში, ხილვებში ნახულობდა, ინტუიციურად გრძნობდა. ამ მხრივ გასაოცარია მაცხოვრის თემა: ქრისტეს გარდამოხსნისას მზეც ტირის და თავად წამების იარაღიც – ჯვარიც! უდიდეს განცდას იწვევს მნახველში ასევე ქრისტეს გარდაცვალების შემდეგ იუდას აცრემლებული სული...

საგამოფენო დარბაზის ერთ კუთხეში პატარა მაგიდის თავზე, რომელზეც რამდენიმე წიგნი იდო, მათ შორის თავად გიგი ხერგიანის „მედიტაციები, გრაფიკა“, „ლექსები (ავტორისავე ნახატების აპლიკაციებით)“, „...ციისკენ მიმავალი კიბე...“ და მირონ ხერგიანის „ლილიტის მძევალი“, 1991 წლის 9 ივლისს გაზეთ „თბილისში “ დასტამბული ინტერვიუს ნაწყვეტი იყო გამოკრული:

„კორესპონდენტი: რა გსურს გვითხრა შენი ნახატებით?

გიგი ხერგიანი: ჩემი შემოქმედების წამყვანი თემა და კრედო სიკეთის ქმნა, მისკენ სწრაფვაა... და იცით, ზოგჯერ რა მგონია? მე კი არ ვხატავ, თავისით იხატება-მეთქი!..“

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გურამ ცერცვაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ გიგი ხერგიანის გრაფიკული ნამუშევრები თავისი დახვეწილი მხატვრული აზროვნებით პროფესიონალი მხატვრებისთვისაც კი ნამდვილი აღმოჩენა იყო. ამდენად, ამ უნიჭიერესი თვითნასწავლი შემოქმედის უდროოდ წასვლა არა მარტო მისი ოჯახისა და ახლობლებისთვის, არამედ ერთიანად ქართული სახვითი ხელოვნებისთვისაც შეუვსებელი დანაკლისია.

– მისი შემოქმედებითი გზა ნაადრევად რომ არ შეწყვეტილიყო, ის ჭეშმარიტად დიდი შენაძენი იქნებოდა არა მხოლოდ ქართული კულტურისთვის, – თქვა მან. – მისი ნახატების თემატიკა ძალზე მრავალფეროვანია – ესაა რელიგიური მოტივები, მისტიკა, სიკეთისა და ბოროტების არსში ჩაწვდომისა და დანახულის ჩვენამდე სრული გულგახსნილობით გადმოცემის წადილი, რასაც განუმეორებელი, თვითმყოფადი ხელწერით აკეთებს.

ეს გამოფენა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელოვნება მარადიულია, ის ხალხის კულტურის წიაღში იდებს ბინას და მომდევნო თაობებს უძვირფასეს განძად გადაეცემა.

როგორც ყოველთვის, ემოციური და გულში ჩამწვდომი იყო ჩვენი სასიქადულო პოეტის, სვანეთის კიდევ ერთი საამაყო შვილის **ეკრეკლე საღლიანის** გამოსვლა:

– მე, რომელსაც მეგონა, რომ გიგი ხერგიანის შემოქმედებას საფუძვლიანად ვიცნობდი, ამ გამოფენის ნახვის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ეს ასე არ ყოფილა. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მანამდე ეს გასაოცარი ნახატები ცალ-ცალკე მქონდა ნანახი, მათი ერთად ხილვა კი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩემი აზრი ასეთია: გიგი ხერგიანი მოდის შორეული წარსულიდან! მის მშობლიურ სოფელში უძველესი, XII საუკუნეში მოხატული ეკლესია დღესაც დგას, სადაც რამდენიმე ხნის წინათ გასაოცარი ამბავი მოხდა: საყდრის ერთი კედელი გადმოინგრა და დღის სინათლეზე გამოვიდა კიდევ უფრო დიდი ღირებულების მქონე X საუკუნის დროინდელი მხატვრობა!

თავისი შემოქმედებით, გიგი ხერგიანი დიდი წინაპრის ფიქრს აგრძელებს, მაგრამ მარადიულ ცნებებს უკვე თანამედროვე მოვლენების შესატყვისად გარდაქმნის. ვფიქრობ, რომ ეს ნახატები, ყველა სხვა გმორჩეულ თვისებასთან ერთად, გარკვული წინასწარმეტყველების ელემენტებსაც შეიცავს. მისთვის უპირველესია ნახატის ობიექტთან არა ფიზიკური მსგავსება, არამედ ადამიანის სულიერი საუფლოს წარმოჩენა. მისი იერის აშენება-გადმოცემას იგი არა გარედან – შიგნიდან იწყებს და ამიტომაცაა, რომ თითოეული ნამუშევრის ყოველი ხილვის შემდეგ მნახველი მასში ახალ-ახალ შტრიხებს ნახულობს.

არ ვიცი, როდის მოვა კაცობრიობა იმ მიჯნამდე, როცა გენიოს შემოქმედთა შედევრების, ვთქვათ, და ვინჩის „ჯოკონდას“ ღიმილის, მიქელანჯელოს „მოსეს“ ყოვლისმომცველი მზერის, ვაჟა-ფშაველას „რამ შექმნა ადამიანად“ და მრავალ სხვათა საიდუმლოებების ამოხსნას შეძლებს.

არც არასდროს, ალბათ!

ამით იმის თქმა მინდა, რომ გიგი ხერგიანის ნამუშევრებში ბევრი რამ კი არის ცხადი, მაგრამ ასევე უამრავია ისეთი რამ, რომლის გამოსაცნობად ადამიანის სულში თუ მოვლენათა წიაღში ჩაწვდომაა ჩასაჭირო!

და მთავარი: მეფის კარის მხატვარი იყო, ვინმე თევდორე, რომელმაც შუა საუკუნეებში სვანეთში ოთხი ეკლესია მოხატა და რომლის ფუნჯის მონასმებს მე „მოზიდულ ხაზებს“ ვუწოდებ, რომელთა მსგავსებს თქვენ ნახავთ გიგი ხერგიანის ნამუშევრებში. იგი უაღრესად თავისთავადი შემოქმედია, რომლის თითოეულ ნახატს დიდი ფიქრისა და განცდის კვალი ატყვია, ყოველი მათგანი უღრმესი აზრის გამომხატველია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელ სამყაროში, რომელიც მოაზროვნე ადამიანთა კატასტროფულ ნაკლებობას განიცდის.

– გამიგია, დიდი ქარტეხილების გადამტანი ხიდან დამზადებული საკრავი ღვთაებრივ ხმებს გამოსცემსო. ასეა ხელოვანიც: ტანჯვა-ვაება გამოვლილი ნიჭიერი შემოქმედი გასაოცარ შედევრებს ჰქმნის, – თქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა.** – ეს ტკივილიც და უდიდესი ნიჭიც გიგის ორივე აქვს, ამიტომაცაა მისი შემოქმედება ასე სულში ჩამწვდომი. ყოველივე ამის ჯეროვნად დაფასებას დრო სჭირდება, ამიტომაცაა, ალბათ, რომ მისი სახელი ქართველი საზოგადოებრიობისთვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, შემოქმედება კი არასაკადრისად დაფასებული. ისევე, როგორც ზღვის ზედაპირზე ქაფი ამოდის, მარგალიტი კი ფსკერზე რჩება, ასეა მისი ნამოღვაწარიც, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ მალე ისიც საკადრისად დაფასდება. კიდევ მინდა ვთქვა, რომ მისმა უზადო ნიჭმა მარტო მხატვრობაში კი არ იჩინა თავი, არამედ პოეზიაშიც. მას შესანიშნავი ლექსები აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი „თითო შედევრის“ ქართველ ავტორთა კრებულშია შეტანილი.

თავის მხრივ, მწერალმა **ზაალ ბოტკოველმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინათ, თბილისის მერიის საკრებულოში საზეიმოდ აღინიშნა გიგის მამის, ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის **მირონ ხერგიანის** დაბადებიდან 80 წლისთავი, ამდენად მისი ვაჟიშვილის ნამუშევართა გამოფენა ამ დღესასწაულის ერთგვარ გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

– ამ ვერნისაჟით საზოგადოებას უბრუნდება ამქვეყნიდან სამწუხაროდ ნაადრევად წასული ტალანტი, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება. გიგი ხერგიანის ნამუშევართა თემატიკის არაჩვეულებრივად მიმზიდველი სპექტრი აქვს, მისი რამდენიმე განსაკუთრებულად გამორჩეული ნამუშევარი, პირველ ყოვლისა, პორტრეტი, გვარწმუნებს, რომ იგი ამ ურთულეს ჟანრში ნამდვილ შედევრებს შექმნიდა.

გიგი ხერგიანის მიმართ საქებარი სიტყვები წარმოთქვეს მხატვრებმა, მწერლებმა, პოეტებმა, ახლობლებმა (პოეტმა ერეკლე საღლიანმა მისი ლექსიც წაიკითხა)... დამსწრე საზოგადოების ერთიანი აზრი კი ის გახლდათ, რომ ასეთი გამორჩეული ხელოვანის გამოფენის მოწყობა მხატვართა სახლის დარბაზში, ცხადია, ძალიან კარგი და საჭირო საქმეა, მაგრამ თავად გიგი ხერგიანის პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედების ტრაგიზმის, მისი ნიჭის მასშტაბისა და მრავალმხრივობის გათვალისწინებით, თანამედროვე ეროვნული კულტურის წინაშე დიდი დამსახურება იქნება მისი პერსონალური გამოფენების უფრო ფართო საგამოფენო სივრცეში წარმოჩენა, რაც ჩვენს მომავალ თაობებსაც უთუოდ წაადგება.

ოთარ ტურაგელიძე



მაპას

მოვხვნეშით, ვითომ გადავიღალეთ
და ვიყოთ ვითომ თეთრი მანდილი
ამ სამყაროსი... და ვეღარ ვამჩნევთ,
როგორ დგას ბნელში, წელში წახრილი
ეს ბერიკაცი, საწყალობელი,
ბარით მოჩიჩქნის მარჩენალ მიწას...
რა ქნას, თუ ბიჭი, გზასაცდენილი,
სახლში ერთ გროშსაც არ შემოიტანს!..
...ეჰ, ბერიკაცო, რაც არის – არის,
რა ვუყოთ, ბიჭმა თუ ვერ ივარგა.
შენ ბეატრიჩე მაინცა გყავდა,
ქალი, რომელიც ძლიერ გიყვარდა.

რწმენის ცეცხლი

მე ქარქაშში ჩამიგია სატევარი,
სინანული გულში აღარ დარჩენილა,
დედამიწა ჩემთვის აღარ ტრიალებს და
სიცოცხლესაც ახლა, ვაგლახ, სხვა ფერი აქვს.
გულში მხოლოდ მზის სხივები აბიჯებდნენ,
ახლა რწმენას ურწმუნობა ეპარება,
ღმერთო, ღმერთო, ღმერთო ჩემო, მაპატიე,
რწმენის ცეცხლი შემომიგზნე კელაპტრებად!..
სინანულო, რად დამტოვე, კვლავაც მოდი,
რადგან ცრემლის მე მდინარე დამიღვრია,
ჩემს ადგილს ვერ ვუპატრონე, მივატოვე,
სიბნელეში გზა და კვალი დამკარგვია.
მოდი, ვიდრე დინება ძვლებს დამილეწავს,
როგორც ფოთოლს ჩამიზიდავს მე მეწყერი,
მაცხოვარის ხატი არის ჩემს იმედად,
მერიდება მასთან თხოვნა კვლავ შეწევნის.
მე ქარქაშში ჩამიგია სატევარი...

ამერიკის ფინანსური კრიზისის გამო, მთელი მსოფლიო გაოგნებულია!

სახელმწიფო ვალის, როგორც ეკონომიკური მოვლენის, არსის ყველაზე მარტივი განმარტება ასეთია: შეუსაბამობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ოჯახის, ან ვიღაც ინდივიდის ვალის განმარტებაც ასეთივე იქნებოდა, მაგრამ სახელმწიფო ვალს პოლიტიკური კრიზისის შექმნის პოტენციალი აქვს. ზუსტად ეს მოხდა ამერიკაში, და თუ კრიზისი არ განიმუხტა, ისტორიაში პირველად, შეიძლება, ქვეყანა დეფოლტის, ანუ ფინანსური პარალიზების წინაშე აღმოჩნდეს. კრიზისის მიზეზი ამერიკის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევაზე დავა გახდა. ამერიკის სახელმწიფო ვალი, თითქმის, 31-ნახევარი ტრილიონი დოლარია.

ვალი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს აქვს. მიზეზი ბიუჯეტის დეფიციტია, ანუ მთავრობა უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადების სახით ღებულობს. სახელწიფო ფულს საკუთარი კერძო სექტორიდან, ან სხვა სახელმწიფოსგან სესხულობს, და როცა, მიზეზთა გამო, მას ვერ ფარავს ხოლმე, ვალი წლიდან წლამდე გროვდება და, რაც მთავარია, საპროცენტო გადასახადი ერიცხება. სახელმწიფო ვალის მიზანშეწონილობაზე მსოფლიოში დიდი ხნის დავაა. ერთნი ფიქრობენ, რომ აღებული ვალით ერი ვითარდება და დიდად არ ვნებს ქვეყანას.

სხვების აზრით, ვალი ბოროტებაა, რადგან დღეს აღებული ვალი ხვალ მომავალმა თაობებმა უნდა იხადოს. სახელმწიფო ვალის გასაკონტროლებლად, ამერიკაში ზედა ზღვარი, ანუ ნასესხები ფულის ლიმიტი წესდება, რომელიც, პირველად, 1917 წელს გამოიყენა კონგრესმა, როცა ამერიკა პირველ მსოფლიო ომში ჩაება, რათა მთავრობას არ გაეწია გადამეტებული საომარი ხარჯები. თანამედროვე ვალის ზღვარი კი, 1939 წელს განისაზღვრა 45 მილიარდი დოლარის ოდენობით, რის შემდეგ, ის 70-ჯერ გაიზარდა. ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს ხშირად უხდებოდა ვალის ზღვრის აწევა, რათა ქვეყანას შეუფერხებლად განეგრძო მუშაობა.

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ზღვარი 100-ჯერ აიწია. ბოლოს, ეს შარშანწინ მოხდა. წინათ, კონგრესი უმტკივნეულოდ თანხმდებოდა ხოლმე ვალის ზღვრის აწევას, მაგრამ კლინტონის პრეზიდენტობიდან დაწყებული, ასეთ ფინანსურ-ეკონომიკურ ღონისძიებას ყოველთვის მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება ახლავს. ზოგჯერ, კრიზისიც!

მაგალითად, 2011 წელს, სახელმწიფო ვალის ზღვრის აწევა ძალიან გაიწელა დროში, რადგან რესპუბლიკელების კონტროლის ქვეშ მყოფი კონგრესი მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა მაშინდელ პრეზიდენტ ობამას, რამაც ეგრეთ წოდებული შატდაუნი, ანუ სახელმწიფო დაწესებულებათა დროებითი დახურვა გამოიწვია. შედეგად, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებმა, პირველად ქვეყნის ისტორიაში, ამერიკა საკრედიტო რეიტინგში ჩამოაქვეითა. ახლა, თითქოს, მეორდება ისტორია, მაგრამ, ობამას ადმინისტრაციასთან შედარებით, ბაიდენის მთავრობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. პრეზიდენტობის პირველივე დღიდან, ბაიდენმა არაერთი ძვირად ღირებული რეფორმა გამოაცხადა, მაგალითად, ინფრასტრუქტურის განახლება და მწვანე ენერგიის სუბსიდირება, რომელსაც რესპუბლიკელები გააფთრებით ეწინააღმდეგებიან, რადგან რეფორმები ხარჯს ნიშნავს. უკრაინის ომით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემებიც მძიმედ დააწვა ამერიკის ბიუჯეტს. მოკლედ, რესპუბლიკელები ყველა ფინანსურ ჩავარდნას ბაიდენის მთავრობის გაუმართლებელ ხარჯიანობას აბრალებენ.

მეორე მხრივ, 2008 წლის შემდეგ, ყველა პრეზიდენტი გადაჭარბებულ ხარჯს ეწევა, რაც კრიზისებს იწვევს. ავღანეთის ომიც ძვირი დაუჯდა ამერიკას და პანდემიასთან ბრძოლაც. ახლა უკვე, ამერიკის მთავრობას ფული უთავდება, და სახელწიფო ვალის ზედა ზღვრის აწევის გარდა ვერაფერი უშველის. ადმინისტრაციამ უკვე დაიწყო კონგრესთან მოლაპარაკება, მაგრამ რესპუბლიკელთა ულტიმატუმს შეეჯახა. ზღვრის აწევას დაუშვებენ რესპუბლიკელები, თუ ბაიდენი რეფორმებს შეკვეცავს, რასაც პრეზიდენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ბაიდენმა მწვავედ გააკრიტიკა რესპუბლიკელთა გაჯიუტება და ისინი შანტაჟში დაადანაშაულა. დეფოლტის საშიშროება, უკვე, ცხადად გამოიკვეთა. თუ მხარეები ვერ მორიგდა, ექსპერტები ივლისის თვეში ელიან ფინანსურ კატასტროფას, რაც უმძიმეს შედეგებს მოუტანს არა მხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოსაც, ანუ არ გამოირიცხება გლობალური ფინანსური კრიზისი.

როგორც ერთმა ექსპერტმა BBC-ის განუცხადა, ამერიკა თუ აცემინებს, ესე იგი, მსოფლიოა გაციებულიო. ამავე დროს, ბევრი ამერიკელი პოლიტეკონომიკური ექსპერტი მომავალს მაინც იმედიანად უყურებს. მათი ოპტიმიზმი ამერიკის ეკონომიკის ზოგად ძლიერებას უკავშირდება. ასე ამბობენ, ამერიკა უეჭველად იპოვის გამოსავალსო.

ტრამპი უდანაშაულო გამოდგა!

ამერიკის სპეციალური დანიშნულების პროკურორმა ჯონ დარემმა გამოძიების დასკვნა გამოაქვეყნა, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია. საქმე ტრამპის სავარაუდო რუსულ კავშირებს ეხება. გამოძიება ჯერ კიდევ ტრამპის პრეზიდენტობის დროს გადაწყდა. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, დემოკრატები ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატს რუსეთთან გარიგებაში სდებდნენ ბრალს.

იმდროს მოქმედმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ, გამოძიების ფედერალურ ბიუროს საკითხში გარკვევა დაავალა. ამერიკულმა მედიამ ეს ამბავი Russiagate-ად მონათლა. პირადად, დონალდ ტრამპი, ბრალდებას ყოველთვის უარყოფდა, ადანაშაულებდა რა დემოკრატებსა და FBI-ის ხელმძღვანელობას საკითხით მანიპულირებაში. როგორც კი ტრამპმა არჩევნებში გაიმარჯვა, მან თავის გენერალურ პროკურორს საკითხის ოფიციალური გამოძიება მოსთხოვა, რომელსაც სათავეში რობერტ მიულერი ჩაუდგა.

გამოძიებამ დაასკვნა, რომ არ არსებობდა ტრამპის ან მასთან დაახლოებული პირების რუს პოლიტიკოსებთან გარიგების რაიმე მტკიცებულება, და რომ რუსეთი ცალმხრივად ცდილობდა ამერიკის პრეზიდენტის საარჩევნო პროცესზე გავლენის მოხდენას. დემოკრატებმა სკეპტიკურად მიიღეს მიულერის გამოძიების შედეგები და დაჟინებით განაგრძეს ტრამპის დადანაშაულება, რომ ის რუსეთთან იყო გარიგებული. გენერალურმა პროკურორმა ახალ სპეციალურ პროკურორად ჯონ დარემი დანიშნა. გამოქვეყნდა ახალი საგამოძიებო დასკვნა, რომელმაც იგივე შინაარსის დოკუმენტი დადო Russiagate-ში ტრამპის უდანაშაულობის შესახებ.

გამომჟღავნდა, რომ FBI ობამასდროინდელი ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ მოექცა და მეტი არაფერი. დარემის გამოძიების შედეგი ეწინააღმდეგება ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის გენერალური ინსპექტორის დასკვნას, რომელიც ამტკიცებს, რომ FBI-ის ნამდვილად ჰქონდა გამოძიების დაწყების საფუძველი. რაც შეეხება თავად ტრამპს, ის კმაყოფილებით გამოეხმაურა მის გამამართლებელ კიდევ ერთ დასკვნას და აღნიშნა, რომ ამერიკის მაშინდელმა ადმინისტრაციამ ამერიკული საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

რუსეთის ახალი „სტრატეგიული სიურპრიზები“ შეუძლია!

ნაადრევია იმის დაჯერება, რომ რუსეთი, უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის დროს მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად, დასუსტებულია და არ შეუძლია ახალი „სტრატეგიული სიურპრიზების“ მოწყობა, – ამის შესახებ ლატვიის თავდაცვის მინისტრმა, ინარა მურნიეცემ პოლონეთის ქალაქ ლეგიონოვოში ჩრდილოეთ ევროპის 12 ქვეყნის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე განაცხადა.

მურნიეცეს თქმით, შეხვედრის მონაწილეები თანხმდებიან, რომ რუსეთის აგრესიული ქმედება საფრთხეს უქმნის მთელი ევროატლანტიკული რეგიონის უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და კეთილდღეობას. სწორედ ამიტომ, ლატვიის თავდაცვის მინისტრის თქმით, აუცილებელია უკრაინისთვის სამხედრო მხარდაჭერის გაგრძელება. მურნიეცემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთი უნდა იყოს ერთიანი და თანმიმდევრული უკრაინის მხარდაჭერაში.

უკრაინელებო, რამდენიმე თვე მოიცადეთ!!!

ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალების მდივნის ფრენკ კენდალის განცხადებით, უკრაინისთვის F-16-ის მოიერიშე თვითმფრინავების მიწოდებას საუკეთესო შემთხვევაში რამდენიმე თვე დასჭირდება.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რამდენიმე დეტალი უნდა დამუშავდეს, სანამ უკრაინის საჰაერო ძალები შეძლებენ დასავლური თვითმფრინავების დიდი რაოდენობით ფრენას.

„არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ F-16-ების ან სხვა დასავლური მებრძოლების მნიშვნელოვანი რაოდენობით გადაცემას უკრაინის საჰაერო ძალებისთვის რამდენიმე თვეზე ნაკლებ დროში“, – განუცხადა კენდალმა ჟურნალისტებს. „რამდენიმე თვე“ შედარებით მოკლე დროა, რადგან აშშ-ის საჰაერო ძალების ოფიციალური პირის თქმით, ამ თვითმფრინავზე მფრინავის მომზადებას ჩვეულებრივ ორ წელზე მეტი სჭირდება. სახელმწიფო დეპარტამენტმა 22 მაისს განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უკრაინისთვის F-16 გამანადგურებლების მიწოდებას პრიორიტეტად მიიჩნევს და უახლოეს თვეებში ამ მიზნის მისაღწევად იმუშავებს.

არესტოვიჩისთვის ომი „დამთავრდა“



პოლიტოლოგი და უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის ყოფილი მრჩეველი, ალექსეი არესტოვიჩი თელ-ავივის ერთ-ერთ სანაპიროზე შენიშნეს.

როგორც ტელეგრამ-არხებზე გავრცელებული ფოტო და ვიდეომასალის მიხედვით ირკვევა, არესტოვიჩი ისრაელში ცოლ-შვილთან ერთად ისვენებს. მედიის ცნობით, მიმდინარე წლის თებერვალში არესტოვიჩი იტალიაშიც შენიშნეს.

შეწყვიტეთ უკრაინის მხარდაჭერა!!!

გულგარეთში დემონსტრანტებმა მთავრობას უკრაინის დახმარების შეწყვეტისკენ მოუწოდეს და სოფიაში ევროკავშირის შენობას წითელი საღებავი შეასხეს. ამის შესახებ „რადიო თავისუფლება“ იტყობინება.

დემონსტრაცია 21 მაისს ჩატარდა, მისი ორგანიზატორები კი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და პრორუსული განწყობის ადამიანები იყვნენ. აქციის მონაწილეებს შორის იყვნენ ანტიევროპული პარტია „აღორძინების“ წევრები და ასევე დეპუტატები. დემონსტრაციაში მონაწილეობა ათასამდე ადამიანმა მიიღო.

მომხდარს ევროპარლამენტის პრეზიდენტი რობერტა მეცოლა Twitter-ზე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ევროკავშირი უკრაინის მხარდაჭერას განაგრძობს.

„გამარჯობა აფხაზეთო შენი!..“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელიც მისასალმებელი სიტყვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ეკა ხოფერიამ გახსნეს. დამსწრე საზოგადოებას ასევე მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკიმ და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილე ლია გიგაურმა.

ღონისძიების ფარგლებში, სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით ასევე აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“ წარსდგა.

აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, არტ-გალერეაში გამოფენა სახელწოდებით „კადრები აფხაზეთიდან“ მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო აფხაზეთში გადაღებული, იქ დაბადებული და მცხოვრები ცნობილი ადამიანების დღემდე უცნობი და უნიკალური ფოტომასალა. ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრ „თეთრ ტალღას“ მისი დამაარსებლის, საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტის, გიორგი რატიანის სახელი მიენიჭა. აღნიშნული გადაწყვეტილება საზოგადოებას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა გააცნო.

საქართველო კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე

კანის 76-ე საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ერთვნულ კინოცენტრთან ერთად, საქართველოს პავილიონი მოაწყო. სტუმრებს, შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საქართველოს ტერიტორიაზე აუდიო-ვიზუალური პროდუქციის წარმოების პირობებს და მიიღონ ინფორმაცია სააგენტოს პროგრამა „გადაიღე საქართველოში“ შესახებ.

ასევე „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით კანის კინოფესტივალზე ორი ქართული ფილმის მარკეტ-ჩვენება გაიმართება. 22 მაისს ფესტივალის მაყურებელი ნანა ჯანელიძის ფილმს „იარე, ლიზა“ და ირინე ჟორდანიას „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ იხილავს.

იანვარი, თებერვალი, მარტი – ვენეციის ბიენალეზე

არქიტექტურის მე-18 საერთაშორისო გამოფენაზე, ვენეციის ბიენალეზე, ათწლიანი პაუზის შემდეგ პირველად, საქართველო ეროვნული პავილიონით წარდგა. გახსნის ღონისძიებას საქართველოს ელჩი იტალიის რესპუბლიკაში კონსტანტინე სურგულაძე, პროექტის კურატორები და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნულ პავილიონს ა(ა)იპ თბილისის არქიტექტურის ბიენალე წარმოაჩენს პროექტით – „იანვარი, თებერვალი, მარტი“. პროექტი სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად შეირჩა. მისი კურატორები არიან გიგი შუკაკიძე, თინათინ გურგენიძე, ოთარ ნემსაძე. კულტურის სამინისტროს მხრიდან ვენეციის ბიენალეს კომისარია თანამედროვე ხელოვნების კურატორი მაგდა გურული.

„იანვარი, თებერვალი, მარტი“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებული შესარჩევი კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ის დუშეთის მუნიციპალიტეტში საბჭოთა დროს ხელოვნურად გარდაქმნილი დასახლების კვლევაზე დაფუძნებული ექსპოზიციაა და დროის დინებისა და ენერგიის ურთიერთმიმართებას იკვლევს. ინსტალაცია მკვდარი და ცოცხალი ბუნების ვიზუალური და სტრუქტურული დაპირისპირებით მოგვითხრობს ხელოვნურად სახეცვლილ დასახლებაზე. პროექტი ყურადღებას ამახვილებს წყალსა და წყალსაცავებზე, მათ გაჩენასა და მათი ზეგავლენით გამოწვეულ ეკოლოგიურ, ურბანულ და დემოგრაფიულ ცვლილებებზე თანმდევი კლიმატური ცვლილებებისა და სწრაფი გარდაქმნების ხანაში. აღსანიშნავია, რომ პროექტის იდეა სრულად ეხმიანება ბიენალეს კურატორის, ლესლი ლოკოს კონცეფციასა და მთავარ თემას – „მომავლის ლაბორატორია“.

საგულისხმოა, რომ კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს ეროვნულ პავილიონში ასევე მოეწყობა სახელოვნებო რეზიდენცია ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის და ექვსი თვის განმავლობაში ადგილზე იმუშავებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის 16 ახალგაზრდა თანამშრომელი.

„ხატე საქართველოსთვის“

მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრისა და ორგანიზაციის – „ხელოვნება საზღვრებს გარეშე“ ხელშეწყობით, არასამთავრობო ორგანიზაცია Voice from Georgia ქალაქ მცხეთაში 22-26 მაისს რიგით მე-7 საერთაშორისო სამხატვრო ფესტივალს „ხატე საქართველოსთვის“ მართავს.

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ხელოვანები ინგლისიდან, გაჰრეინიდან, საუდის არაბეთიდან, ინდოეთიდან, სირიიდან და საქართველოდან. სულ – 11 შემოქმედი. ამასთან, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს რვა ცნობილი უცხოელი მხატვარი, რომლებიც, სამ ქართველ მხატვართან ერთად, ხუთი დღის განმავლობაში მცხეთის მულტიფუნქციურ ცენტრში შექმნიან ნამუშევრებს ფორმატით – 80სმ X 60სმ. გაიმართება ვორქშოპები მცხეთის მულტიფუნქციურ ცენტრში და მასტერკლასი ბავშვებისთვის. შექმნილი ნამუშევრების დასკვნითი გამოფენა გაიმართება მცხეთის ცენტრალურ სკვერში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 26 მაისს.

ნუცა ბუზალაძისა და კაილი მინოუგის დუეტი ფინალში

ნუცა გუზალაძემ American Idol-ის ფინალში ცნობილ ავსტრალიელ მომღერალთან, კაილი მინოუგთან შეასრულა დუეტი. მათ მინოუგის ცნობილი ჰიტი Can't Get You Out of My Head იმღერეს.

American Idol-ის 21-ე სეზონი ფინალური შოუთი დასრულდა. ნუცა გუზალაძე კონკურსის 12 საუკეთესო კონკურსანტს შორის იყო, თუმცა ფინალში მოსახვედრად ხმები არ ეყო,

ქართველი ჯაზმენები ამერიკის უძველეს ჯაზ-კლუბში

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ვაშინგტონში, უძველეს ამერიკულ ჯაზ-კლუბში, ცნობილი ქართველი მუსიკოსის გიორგი მიქაძისა და მისი ჯაზ-ტრიოს კონცერტი „ქართულ სიმღერათა კრებული“ გაიმართა.

კონცერტი საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა. გიორგი მიქაძემ მსმენელს კომპოზიციები ქართული მხატვრული ფილმებიდან, მულტფილმებიდან და მე-20 საუკუნის ცნობილი თეატრალური დადგმებიდან წარუდგინა. „ქართულ სიმღერათა კრებული“ ცნობილი ქართული მელოდიებისა და თანამედროვე ჯაზის ნამუშევრების გაერთიანებას წარმოადგენს.

გამოვიდა „ხორნაბუჯის“ 2023 წლის 1(14) ნომერი!

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **ამირან კოდიაშვილის** და **თემურ პოპიაშვილის** ფოტოებით. ყდის მე-2 გვერდი **ალექსანდრე ყაზბეგის** 175-ე წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსს – „მე მთიელი ვარ“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ ინფორმაციას ჭაჭუნას აღკვეთილის შესახებ, რომლის ფოტოებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანი.

ალმანახი იხსნება სტუმარი ჟურნალის – „რიწას“ ავტორებით: **ნანა ქარდავა** (რედაქტორი), **ირაკლი შამათავა, მურმან კვარაცხელია, ბათუ დანელია, მადონა დვალი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ნანა ჯეჯეია, ელენე ღვინჯილია და დალილა ცატავა.** აღსანიშნავია, რომ ჟურნალ "რიწას" წელს გამოცემიდან 55 წელი უსრულდება; ხოლო თავის მხრივ ჟურნალი "რიწა" ახალ, 2023 წლის პირველ ნომერში დედოფლისწყაროელ ავტორებს წარუდგენს მკითხველს.



რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **მირანდა ერისთავის, ქეთევან ნათელაძის, ვაჟა ოთარაშვილის, ეკა კვანტალიანის, ნინო არსენიშვილის, თინა გახელაძის, გიო ზედვაკელის და გიორგი ჩაჩანიძის** ლექსებს.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ გაეცნობით **ჯემალ მეხრიშვილის** წერილს „მოულოდნელი შეჯახება პოეზიის მეტეორთან“. რუბრიკა „ახალი სახელები“ გვაცნობს ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორის **ანანო გოგიშვილის** ლექსებს.

რუბრიკაში „იუბილე“ იხილავთ **ნანა ჭიჭინაძის** წერილებს „**რევაზ ტაკიძე – 80“** და **„გურამ ქაშაკაშვილი – 90“,** რომლებშიც ამ სახელოვან მამულიშვილებს უფრო ახლოს გაეცნობით. რუბრიკაში "თარგმანი" იხილავთ ავსტრალიელი მწერლის **კატერინა სუსანა პრიჩარდის** მოთხრობის **ანზორ სიფრაშვილისეულ** თარგმანს. ხოლო რუბრიკაში „ხელოვნება“ გაეცნობით **მარიკა პოპიაშვილის** წერილს „**თემურ ყვითელაშვილის სოლო კონცერტი და ვარსკვლავის გახსნა**“.

◎ ისტორიულ სამშობლოში

კვანძი იხსნება

როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება 23 წლის უნიჭიერესი საყრდენი ნახევარმცველის პონსტანტინე მარადიშვილის საგა, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის მიღების ბოლო ეტაპზეა.

დიახ, ისტორიული სამშობლოს პასპორტის აღების პროცესი დაჩქარებულ რეჟიმში მიმდინარეობს და ადვილი შესაძლებელია, იგი ჯვაროსანთა სამწვრთნელო შტაბმა უკვე ივნისში გასამართავ ევრო – 2024-ის საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩებისთვის გამოიძახოს. ისიც სათქმელია, რომ მომავალ დებიუტანტს ასაკი საშუალებას აძლევს ევროპის მოახლოებულ ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ითამაშოს, რომელსაც ივნის-ივლისში ჩვენი ქვეყანა და რუმინეთი უმასპინძლებენ.

ახლა კი, ვფიქრობთ, მოვიდა დრო უფარო ახლოს გაგაცნოთ წინა საუკუნის 90-იან წლებში ეროვნულ ჩემპიონატში თეთრი არწივის მაისურით მოასპარეზე წარმოშობით გურჯაანელი კობა მარადიშვილის ვაჟი, რომელიც მოსკოვში დაიბადა და გაიზარდა.

მისი რუსული კარიერის საბავშვო პერიოდი მოსკოვის ცსკა-ს საფეხბურთო აკადემიაში დაოსტატებას უკავშირდება, ხოლო შემდეგი საფეხურებია იქაურ 20-წლამდელთა (5 შეხვედრა) და 21-წლამდელთა (6 მატჩი) ნაკრებები.

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრს აქვს ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლის გამოცდილებაც, წლევანდელ სეზონში კი ლოკომოტივის 24 მატჩში 2 ბურთი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა შეასრულა.

სხვათა შორის, საგულისხმოა არმიელთა ბანაკიდან რკინიგზელთა გუნდში 2021 წელს განხორციელებული ტრანსფერის ფასი – 7 მილიონი ევრო და, რაც მთავარია, საქართველოს სასარგებლოდ გაკეთებული მისი არჩევანი!

* * *

ლეგიონერთა თემას გასულ უქმეებზე ჩვენებურთა ჩადენილი საგმირო საქმეებით ამოვწურავთ:

ესპანეთი. ვალენსია – რეალი 1:0. **გიორგი მამარდაშვილმა** რამდენიმე მკვდარი ბურთი მოიგერია და მატჩის მეფე გახდა.

იტალია. ნაპოლი – ინტერი 3:1. მასპინძლებმა რევანში აიღეს 4 იანვარს პირველი წაგებისთვის და მიმდინარე სეზონში ყველა მეტოქე ჰყავთ დამარცხებული, ხოლო თუ სერია ა-ს დარჩენილ ორივე მატჩს მოიგებენ, თავიანთთვის სარეკორდო – 92 ქულას მოაგროვებენ.

საფრანგეთის II დივიზიონი. მორიგი გოლები გაიტანეს **გიორგი მიქაუტაძემ** (23-ე) და **ზურიკო დავითაშვილმა** (მე-5).

◎ ოვალური ბურთი

ევროპული ტიტული

მართალია, საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური პირველი დივიზიონის რეგულარული გათამაშების ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ტულონი პლეი-ოფში გასვლის მხოლოდ თეორიულ შანსს ინარჩუნებს, მაგრამ სეზონს მაინც მაჟორული განწყობით ასრულებს.

საუბარია რანგით მეორე ევროპულ საკლუბო ტურნირში – ჩელენჯ კაპზე დუბლინში მოხვეჭილ გამარჯვებაზე და აღნიშნულ ტრიუმფში ბორჯღალოსან **ბექა გიგაშვილის** მიერ შეტანილ ღირსეულ წვლილზე. ისიც სათქმელია, რომ ოთხი წაგებული ფინალის შემდეგ ამ გუნდმა მიზანს მეხუთე ცდით მიაღწია – შოტლანდიურ გლაზგო ვორიორზს 43:19 სძლია.

რაც შეეხება წერილის დასაწყისში ნახსენებ ტურნირს, პლეი-ოფში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა – ჩემპიონთა თასის აწ უკვე ზედიზედ ორგზის მფლობელმა ლა როშელმა, რასინგმა, სტად ფრანსემ და ბორდომ, ლიონის ბედს კი ბოლო ტური გადაწყვეტს. სამწუხაროდ, უკანასკნელი ადგილი დაიკავა და დაქვეითდა ბრივი, სადაც ჯაფარიძე, კარკაძე და ლობჟანიძე თამაშობენ.

◎ ოსტატი და შეგირდი

სლოვაკური ჯილდოები

ამ დღეებში სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში გაიმართა ყოველწლიური XXVI საერთაშორისო ტურნირი კარატეში სახელწოდებით Slovakia open – European cup, რომელშიც მსოფლიოს 15 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმაც წარმატებით მიიღო მონაწილეობა.

ამ პრესტიჟულ შეჯიბრზე, რომელიც სლოვაკეთის კარატეს და საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა WUKF-ის (მსოფლიოს ერთობლივი კარატეს ფედერაცია) წესებით, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა **ჭაბუკა მახარაძემ** უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატაში ოქროს მედალი მოიხვეჭა, ხოლო მისმა მოსწავლემ, 10 წლის **ანდრია საათაშვილმა**ჯამში 4 ჯილდო მოიპოვა, – 1 ვერცხლი ინდივიდუალურ კატაში 10 წლის ბიჭებს შორის, ხოლო 3 ბრინჯაო 10-11 წლიანებს შორის ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეს დისციპლინაში.

2022 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ჭაბუკა მახარაძის სპორტულ კარიერაში, აგვისტოში მან იაპონიაში, ტოკიოში გამართულ კარატეს მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ოქროს მედალი დაიმსახურა და მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო იმავე წელს რუმინეთის ქალაქ კლუჟში კარატეს ევროპის ჩემპიონატზეც ოქროს მედალი ხვდა და მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი, ასევე შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებზე ის 1998 წლიდან რეგულარულად წარმატებით ასპარეზობს, მოპოვებული აქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი.

ჭაბუკა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი:

– ბრატისლავაში კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ეს ყოველთვის ძალიან მასშტაბური, ტრადიციული და პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირია, სადაც ჩამოსულები იყვნენ სპორტული დელეგაციები იტალიიდან, ინგლისიდან, შოტლანდიიდან, ჩეხეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან... დიდ სპორტულ კომპლექსში ორი დღის განმავლობაში ერთდროულად 5 ტატამზე მიდიოდა ასპარეზობები. ამ ჩემპიონატზე უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატაში 3 წრე გავიარე: პირველ წრეში 4:1 დავამარცხე მარტინ ჯასინსკი (პოლონეთი), მეორე წრეში 5:0 მოვუგე კრის ჰულსეს (შოტლანდია), მესამე წრეში – ფინალში საუკეთესო შედეგებით 4 სპორტსმენი გავედით. ქულების შეფასებით I ადგილი მე დავიკავე, II ადგილი მარტინ რუბეკმა (ჩეხეთი),III ადგილი კი მარეკ ფორნადელმა (სლოვაკეთი) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ყველა სპორტსმენი პროფესიონალიზმით არის გარმორჩეული, მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებულები და მეც თითქმის ყველა გამოსვლა ასე დამაჯერებლად მოვიგე.

ბრატისლავაში ასევე კარგად იასპარეზა ჩემმა მოსწავლემ, 10 წლის **ანდრია საათაშვილმა.** მას 10 წლის ბიჭებს შორის ინდივიდუალურ კატაში II ადგილი და ვერცხლის მედალი ერგო. ამ საერთაშორისო ტურნირზე პირველ წრეში 3:2 დაამარცხა ჯურაჩ ჭრონსკი (სლოვაკეთი), მეორე წრეში 3:2 ალექსანდრე ვიქტოროვსკი (პოლონეთი), ფინალში კი საუკეთესო შედეგებით ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი მილოშ – ორგანიზიაკი (პოლონეთი), II ადგილი – ანდრია საათაშვილი (საქართველო), მესამე – ფილიპ ზანერი (სლოვაკეთი).

მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ტურნირზე ეს არის ანდრია საათაშვილის მორიგი წარმატებული ასპარეზობა. მან 2022 წელს რუმინეთის ქალაქ კლუჟში გამართულ ევროპის თასზე 10 წლის ბიჭებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში III ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მანამდე კი თურქეთის ქალაქ ბურსაში საერთაშორისო ჩემპიონატზე ვერცხლის პრიზიორი გახდა 10-11 წლის ბიჭებს შორის ინდივიდუალურ კუმიტეში. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემს მოსწავლეებთან ერთად ყველა ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზოთ და ღირსეულად წარვადგინოთ ჩვენი ქვეყანა.

ანდრია საათაშვილი, ბრატისლავის საერთაშორისო ტურნირის Slovakia open – European cup **ვერცხლის პრიზიორი:**

– კარატეში 6 წლიდან ვვარჯიშობ. ამ შეჯიბისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი, მინდოდა, რომ წარმატებით გამოვსულიყავი. ძალიან გამეხარდა, რომ ჯამში 4 მედალი ავიღე, – 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. სამომავლოდ ვეცდები, შემდეგ ტურნირზე რომ გამოვალ საქართველოს სახელით, ჩემს მედლებს შორის ოქროს მედალი მქონდეს.

◎ ბრძენთა თამაში

95 წლის ოთარ შონიას ნააზრევი

a b c d e f g h

თრ. 1.ᲛᲔ3 ᲛᲒ3 2.ᲔᲒ8 3.ᲔᲒ7 4.ᲛᲛᲒ4,Გ8 5.ᲔᲔ Გ6,g4,g6,h3,h5

ᲛᲔ. 1.ᲛᲔ C1 2.Ე d3 3.ᲔᲔ e6,e7 4.ᲛᲛᲒ6,C3 5.ᲔᲔ C7,e4,e5, g5,g7,h4,h6

თეთრები იწყებენ და იგებენ

ამოხსნა

1.Მ C8:Გ6 Ე e7:Გ4+ 2.ᲛᲔ Გ3:Გ4 Ე d3-d4+ 3.ᲛᲔ Გ4:C3 Ე C7:Გ6 4.Ე Გ8-Გ8 Ე d4-C4+ 5.ᲛᲔ C3-Გ3 Ე C4-C8+ 6.ᲛᲔ Გ3-Გ4 Ე C8:Გ8 7.Ე Გ7:Გ8 Ე e6-d7 8.Ე Გ6-Გ7 Ე d7-C6 9.Ე Გ8:e5 ᲛᲔ C1-d2 10.Ე e5:g7 ᲛᲔ d2-e3 11.Ე g7:h6 ᲛᲔ e3-f4 12.Ე g6-g7 და თეთრები იგებენ

◎ ევროლიგა

რეალურად - მეთერთმეტე

მართალია, ჩემპიონთა ლიგის საფეხბურთო ტურნირი მისმა 14-გზის რეკორდსმენმა მადრიდის რეალმა უტიტულოდ დაასრულა, მაგრამ სამეფო კლუბის სპორტული ღირსება მე-11,ასევე სარეკორდო ტრიუმფით, მისმა კალათბურთელებმა ევროლიგის ფინალის მოგებით დაიცვეს – 79:78 პირეოსის ოლიმპიაკოსთან.

ბერძნული გრანდი თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდა კაუნასში გამართული ოთხთა ფინალის გადამწყვეტ მატჩში, მაგრამ ბოლო წუთზე ესპანელები ძველმა გვარდიამ – როდრიგესმა 3-ქულიანით და ლულმა იხსნეს, რომელმაც შეხვედრაში თავისი ერთადერთი, მაგრამ ოქროს ორქულიანი ძირითადი დროის ამოწურვამდე რამდენიმე წამით ადრე ჩააგდო.

შეგახსენებთ, რომ პირენეელები პლეი-ოფიდან ლიეტუვაში ზღაპრულად მოხვდნენ, როცა მეოთხედფინალური სერია საკუთარ დარბაზში 0:2-ის შემდეგ ბელგრადის პარტიზანს დაუაჩეს, მათ რიგებში კი მოახლოებული მუნდიალის სასტარტო ბრძოლაში საქართველოს მეტოქის – კაბო ვერდეს გუნდის ყოჩი ტავარეში თამაშობს.

მატჩი III ადგილისთვის: მონაკო (მწვრთნელის ასისტენტი **მანუჩარ მარკოიშვილი**) – ბარსელონა 78:66.

ამასობაში გაიკვა, რომ მეფე ლებრონ ჯეიმსი და კამპანია წლეულს უტიტულოდ დარჩნენ, რადგან ლეიკერსმა ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერია სამარცხვინოდ წააგო დენვერთან – 0:4. ბოლო მატჩი კალიფორნიელებმა საკუთარ დარბაზში 111:113 დათმეს და ნაგეთსი ისტორიაში პირველად ითამაშებს გადამწყვეტ რაუნდში ოქროს ბეჭდებისთვის.

ფრთხილად, ქვეყანაში ჩუტყვავილას აფეთქებაა!

„ქვეყანაში ჩუტყვავილას აფეთქებაა, იანვრიდან აპრილის ჩათვლით დაავადების 3 118 დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა,“ – ამის შესახებ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა ივანე ჩხაიძემ განაცხადა.



მისი თქმით, ჩუტყვავილა წითელასგან განსხვავებით, მიეკუთვნება იმ დაავადებების კატეგორიას, სადაც დაავადების მძიმე მიმდინარეობა იშვიათია.

„ჩუტყვავილა არ მიეკუთვნება მძიმე დაავადებების კატეგორიას. გართულებები ძალიან იშვიათია და კიდევ უფრო მეტად იშვიათია გარდაცვალების შემთხვევები. ჩუტყვავილას აქვს ერთი თვისება – ციკლურობა. ყოველ 2-5 წელიწადში ერთხელ ყველა ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც მატულობს. ჩუტყვავილას შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში 2018 წელს გვქონდა, 10 196 შემთხვევა დაფიქსირდა, მაშინ, როდესაც სტანდარტულად 3-4 ათასი შემთხვევა ფიქსირდებოდა. 2018 წელს იყო სერიოზული მატება.

2022 წელს იყო 2 600 შემთხვევა. წელს, 2018 წლიდან ზუსტად 5 წლის შემდეგ, ასევე, აფეთქება გვაქვს, იანვრიდან დაწყებული 4 თვეში, აპრილის ჩათვლით ქვეყანაში 3 118 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, 2023 წელიც ამ მხრივ, ასევე, გამორჩეული იქნება და, ალბათ, წლის განმავლობაში 10 000 0-მდე შემთხვევა გვექნება. 2018 წლის შემდეგ წელს ის პერიოდია, როდესაც შემთხვევების მკვეთრი მატებაა, 2-3 ჯერ მეტი ვიდრე სხვა წლებში აღინიშნებოდა“, – აცხადებს ივანე ჩხაიძე.

„ჩუტყვავილას დროს ცხელება 2-3 დღეზე მეტი არ გრძელდება, მაგრამ მეორადი ინფექციის შემთხვევაში – ტემპერატურა ხანგრძლივდება, გამონაყარი, რომელიც ჩუტყვავილასთვის დამახასიათებელია, ჩირქგროვების სახით არის წარმოდგენილი, გამონაყარი შეიძლება პირის ღრუშიც იყოს და ეს არის მეორადი ბაქტერიის მიმანიშნებელი“, – აცხადებს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი.

მამაპაპისეული მიწები ჩამოგვართვესო!..

დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეებმა სოფლების, ჯაღმიანისა და ზაქათკარის დამაკავშირებელი გზა გადაკეტეს.

მათივე განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ მათ მამაპისეული მიწები წინასაარჩევნოდ ჯერ დაუკანონა, ახლა კი ართმევს.

როგორც ისინი ამბობენ, ქვეშეთი-კობის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობის გამო, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ფასი გაასმაგებულია. ადგილობრივების განმარტებით, მათ გამოკითხვებზე იბარებენ და ეუბნებიან, რომ ეს ნაკვეთები თაღლითური გზით აქვთ გადაფორმებული.

აქციის მონაწილეების მოთხოვნაა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, მიწების მათ საკუთრებაში დარჩენა ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაცია.

აქციაზე მივიდნენ „გირჩის“ ლიდერები სანდრო რაქვიაშვილი და იაგო ხვიჩია. მათი განმარტებით, სახელმწიფოს მხრიდან მოხდა ამ ადამიანების საარჩევნოდ გამოყენება, მოტყუება და თაღლითებად გამოცხადება.

აქციას შეუერთდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც, რომელიც ადგილობრივებს არსებული მდგომარეობის მოკვლევასა და გვერდში დგომას დაჰპირდა.

თბილისში ავტოფარეხები აიღეს

ისნის რაიონის გამგეობამ კაჩინსკის ქუჩაზე 32 ავტოფარეხის დემონტაჟის სამუშაოები განახორციელა, რის ნაცვლადაც ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, 1 000 კვ.მ ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა.

ავტოფარეხების აღების სამუშაოების პარალელურად, ისნის რაიონის გამგებელი ნიკა ელისაშვილი, მაჟორიტარ დეპუტატ კახა ლაბუჩიძესთან ერთად,

ადგილობრივ მცხოვრებლებს შეხვდა და ახალი სივრცის მოწყობის პროექტი მათთან ერთად დეტალურად განიხილა.

ადგილობრივ მოსახლეობას დასასვენებელი სივრცე ამ დრომდე არ ჰქონია.სამუშაოების ფარგლებში, მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების რეკრეაციული სივრცე.

ტერიტორია გაზონით შემოისაზღვრება, გამწვანდება და სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე დაირგვება, ასევე, დამონტაჟდება სკამები, სეპარირებული urnები, დაიგება დეკორატიული ფილები. სკვერში ყველა საჭირო თანამედროვე ინვენტარი განთავსდება და მოეწყობა საპარკინგე ზონა.

სულთათანა

გივი გოგუაძე

ჩვენს ქალაქს ღირსეული მოქალაქე, თბილისელი კაცი, მეგობრებსა და ახლობლებში გამორჩეული პიროვნება, 1948 წელს დაბადებული გივი გოგუაძე გამოაკლდა.

კეთილშობილება, მაღალი ინტელექტი, სიყვარულითა და კაცობით გამორჩეული ოჯახიშვილობა მოსდევდა მთელი ცხოვრება... ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფილი „გეპეის“) სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდგომ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში დაიწყო საქმიანობა, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალმა. 1977-79 წლებში მუშაობდა სირიის რესპუბლიკაში. შვიდ ათეულ წელზე მეტი სიკეთის თესვაში გაატარა.

არაჩვეულებრივი მეოჯახე და შესანიშნავი პროფესიონალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მე-4 საამშენებლო ტრესტს თბილისში. საბოლოოდ, ჩვენს ქვეყანაში 2011 წლის 26 მაისს დატრიალებულმა უსამართლობამ და გაუგონარმა სიყალბემ აუნაზღაურებელი ტკივილი მიაყენა მის ოჯახს. ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, სწორედ ამ ტკივილმა და ნერვიულობამ, ერთადერთი ვაჟიშვილის მიმართ, რომელიც ცილისწამების, უკანონობისა და მაშინდელი სახელმწიფო ხელმძღვანელების მხრიდან უკანონო პატიმარი გახდა, საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. სწორედ ამ შემთხვევამ უდიდესი დაღი დაასვა ბატონი გივის, ალალმართალი და პატიოსანი კაცის ჯანმრთელობას. მიუხედავად სიმართლის ზეიმისა და ვაჟის განთავისუფლებისა, ეს ტკივილი დარჩენილი სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ღმერთმა აცხონოს გივი გოგუაძე ალალმართალი, შეუპოვარი ვაჟკაცი და სამეგობროში მეტად დაუვიწყარი.

მეგობრები

სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოება მკვლელობით დასრულდა!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული გ.ი., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

აღნიშნულის შესახებ განცხადებას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. **გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 22 მაისს, ბრალდებული და 2003 წელს დაბადებულ შ.ქ. სოციალურ ქსელში დაწყებული უთანხმოების გარკვევის მიზნით, ერთმანეთს შეხვდნენ. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, გ.ი.-მ, ცივი იარაღით დაჭრა ახალგაზრდა მამაკაცი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ცაგერთან, ცხენისწყალში ახალგაზრდის ცხედარი იპოვეს

ინფორმაციას და ფოტოს სოციალურ ქსელში ჟურნალისტი ზურაბ ბაუჟაძე ავრცელებს. როგორც ცნობილია, ლენტეხში გაუჩინარებულ 34 წლის ახალგაზრდას ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე სამ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 20 მაისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში, სამმა ბრალდებულმა, მათ შორის ერთმა არასრულწლოვანმა ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ტაქსის მძღოლს თავის არეში მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს და ე.წ. ტროსით მოახრჩვეს. ბრალდებულებმა კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტომანქანის საბარგულში მოათავსეს და მიმდებარე ტერიტორიაზე, ორმოში დამარხეს, რის შემდეგაც მოკლულის ავტომობილს დაეუფლნენ და მისი ნაწილებად დაშლა დაიწყეს.

სამართალდამცველებმა ორი პირი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი 22 მაისს დააკავეს, ხოლო მესამე პირის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდების შესახებ.

ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲑᲔᲑᲝ

93 ᲬᲚᲘᲡ ᲯᲝᲔ ᲠᲐᲘᲐᲜᲛᲐ თავის 41 წლის შვილიშვილთან, ბრედთან ერთად ამერიკის ყველა ეროვნული პარკი მოიარა. ბებიამ და შვილიშვილმა ეროვნული პარკების მონახულება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ჯოიმ ბრედთან საუბრისას სინანული გამოხატა იმის გამო, რომ ახალგაზრდობაში ბევრი არ უმოგზაურია.

ქვეყნის 63-ვე პარკის მონახულება რაიანებმა 7,5 წელიწადში მოახერხეს. მათი ბოლო მიზანი ამერიკული სამოას ეროვნული პარკი იყო, რომელშიც ისინი ამ კვირაში ჩავიდნენ. პარკის ადმინისტრაციამ მოგზაურებს მათი მიღწევის აღსანიშნავი სიგელები გადასცა.

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲛ 2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲐ

გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ახალი მონაცემების მიხედვით, 1970 წლიდან 2021 წლამდე ამინდთან დაკავშირებული 11,778 შემთხვევა მოხდა.

გაეროს მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მსოფლიოში კატასტროფების გამო დადასტურებული სიკვდილიანობის 90%-ზე მეტი განვითარებად ქვეყნებში მოხდა. გაეროს მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ხელმძღვანელი პეტერი ტაალასი ამბობს, რომ ღარიბი მოსახლეობა განიცდის ყველაზე დიდ საფრთხეს. მისივე თქმით, ამის რეალური მაგალითია ციკლონი მოკა, რომელმაც გასულ კვირას დიდი ზარალი გამოიწვია მიანმარსა და ბანგლადეშში.

„ძლიერმა ქარიშხალმა გამოიწვია ფართო განადგურება, გავლენა მოახდინა ღარიბთა შორის ყველაზე ღარიბებზე“, – დასძინა ტაალასმა.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ?

ვაშინგტონში დააკავეს სატვირთო მანქანის მძღოლი, რომელიც თეთრ სახლთან უსაფრთხოების ჯებირებს შეეჯახა. მომხდარს აშშ-ის საიდუმლო სამსახური იძიებს. გამოძიება ვარაუდობს, რომ შეჯახება გამიზნული იყო. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც სააგენტო „როიტერი“ თვითმხილველზე დაყრდნობით წერს, გამომძიებლებმა სატვირთო მანქანაში სვასტიკის გამოსახულებიანი დროშა იპოვეს.

„წინასწარი გამოძიება აჩვენებს, რომ მძღოლი, შესაძლოა, ლაფაიეტის მოედანზე უსაფრთხოების ბარიერებს გამიზნულად შეეჯახა“, – ნათქვამია საიდუმლო სამსახურის მიერ „ტვიტერში“ გავრცელებულ განცხადებაში. მომხდარის გამო მიმდებარე სასტუმროდან ხალხის ევაკუაცია განხორციელდა. გადაიკეტა რამდენიმე საავტომობილო და საფეხმავლო გზა.

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

1,100 ᲬᲚᲘᲗ დათარიღებული ებრაული ბიბლია ნიუ-იორკში, Sotheby's-ის აუქციონზე 438 მილიონად გაიყიდა. „The Codex Sassoon“-ად წოდებული ხელნაწერი აშშ-ში რუმინეთის ყოფილმა ელჩმა, ალფრედ მოზესმა შეიძინა.

სააუქციონო სახლის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, მოზესმა უძველესი ებრაული ბიბლია თელ-ავივში მუზეუმში განსათავსებლად შეიძინა. ხელნაწერი გაყიდვამდე რამდენიმე თვით ადრე ANU-ის მუზეუმში იყო გამოფენილი. ალფრედ მოზესის განცხადებით, ებრაული ბიბლია ისრაელში სულ მალე დაბრუნდება.

„The Codex Sassoon“-ი დიდი ალბათობით 880-დან 960 წლამდე შუალედში დაიწერა. ხელნაწერს აღნიშნული სახელი მყიდველის, ერაყელი ებრაელი ბიზნესმაგნატის შვილის, დევიდ სოლომონ სასუნის პატივსაცემად დაერქვა. ებრაული ბიბლია მისი ბოლო მფლობელის გარდაცვალების შემდეგ 1978 წელს ციურიხში Sotheby's-ის აუქციონზე British Rail Pension Fund-მა 320,000 დოლარად შეიძინა. აღნიშნულმა ფონდმა კი ხელნაწერი ებრაული ბიბლია 11 წლის შემდეგ, 1989 წელს ბანკირ ჟაკ საფრას 3.19 მილიონ დოლარად მიჰყიდა. ამჯერად ნივთი სწორედ აღნიშნულმა პიროვნებამ გაყიდა.

ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲐᲡ „ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲝᲑᲝᲑᲐ“



Sothbey's აუქციონზე ობობას გიგანტური ბრინჯაოს ქანდაკება რეკორდულ თანხად – 32,8 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ქანდაკების ავტორი ლუიზ ბურჟუაა. ობობას სიმაღლე 3 მეტრია, სიგანე კი 5,5. ქანდაკებამ აუქციონზე ორი რეკორდი დაამყარა: ეს ბურჟუას ყველაზე ძვირადღირებული ქმნილება გახდა (არტისტის წინა რეკორდი 31,2 მილიონს შეადგენდა), ამასთან ბურჟუა ყველაზე ძვირადღირებული მოქანდაკე გახდა, რომლის ნამუშევრებიც აუქციონზე ყოფილა გატანილი. ლუიზ ბურჟუა პარიზში დაიბადა, მაგრამ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ნიუ-იორკში გაატარა, სადაც სახელი უჩვეულო ინსტალაციებით გაითქვა. მისი მონუმენტური ქანდაკებები თანამედროვე ხელოვნების ცნობილ მუზეუმებში გამოიფინება. ბურჟუა 2010 წელს, 98 წლისა გარდაიცვალა.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲑᲔᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲕᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲘᲢᲐᲠᲐ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ

ᲒᲘᲢᲐᲠᲐ, რომელიც ლეგენდარული როკ-ჯგუფის, Nirvana-ს ფრონტმენმა გატეხა, ნიუ-იორკში, Hard Rock Cafe-ში გამართულ აუქციონზე გაიყიდა.

მუსიკოსმა, რომელმაც 1994 წელს თავი მოიკლა, შავი Fender Stratocaster-ი ჯგუფის მეორე ალბომზე Nirvana მუშაობისას დაამტვრია. ინსტრუმენტი ააწყვეს, თუმცა მასზე დაკვრა შეუძლებელია. ამასთან, გიტარაზე Nirvana-ს სამივე წევრის ავტოგრაფია. ანონიმურმა მყიდველმა გიტარაში 596 900 დოლარი გადაიხადა, თუმცა ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ინსტრუმენტი 60-80 ათას დოლარად გაიყიდებოდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გებელი ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35
ᲨᲗ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 25 ᲛᲐᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.5340; ᲔᲕᲠᲝ - 2.7352;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1510;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.1665; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1279;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.4906;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.5651

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 24 ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+29
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+29
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+25
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+12,	ᲓᲦᲔ	+31
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+15,	ᲓᲦᲔ	+32

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge